ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: მიმოზა ღოლიჯაშვილი

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: *ნინო დემურაძე*

კვების დარგში ექსპერტი: *მარინე ზაზაშვილი*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *საბა კობახიძე*

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო
საიდენტიფიკაციო ნომერი	418471022
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება *(არსებობის შემთხვევაში)*	გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულება
სახელწოდება ინგლისურ ენაზე *(არსებობის შემთხვევაში)*	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)*	გორის მუნიციპალიტეტი, ქალაქი გორი, გამზირი სტალინი, N16
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი	მუნიციპალიტეტი გორი, სოფელი ვარიანი

(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი *(არსებობის შემთხვევაში)*	www.gorikids.ge
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი *(ვიზიტის გრძანების ნომერი და თარიღი)*	25/02/2026 ბრძანება MES 9 26 0000225197
ვიზიტის პერიოდი *(თარიღი)*	27.03.2026 – 28.03.2026

5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)

წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა

6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

N	პროგრამის სახე[1]	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)*	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში,, (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის)	ქართული		75
					ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐ არ ეთანხმება ☒ **რეკომენდირებული რაოდენობა - 30**

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

2026 წლის 27 და 28 მარტს განხორციელდა ვიზიტი ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში (საიდენტიფიკაციო ნომერი: 418471022). გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში ვიზიტისას დაფიქსირდა შემდეგი ვითარება: დაწესებულება ამჟამად ფუნქციონირებს ძველ შენობაში, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ახალი შენობა, სადაც დაწესებულება ავტორიზაციის მოპოვებას გეგმავს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ეფუძნება ახალი ინფრასტრუქტურის მზადყოფნას, რათა დადგინდეს, რამდენად შეესაბამება ის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს; დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

შეისწავლა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესები, ასევე დოკუმენტაციის წარმოება და დღის წერიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი. გამოიკვეთა როგორც ძლიერი მხარეები, ასევე გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას.

შეფასებისას განსხვავებული ხედვები დაფიქსირდა რამდენიმე კომპონენტში/სტანდარტში, სადაც დაწესებულების თვითშეფასება და ექსპერტთა შეფასება არ დაემთხვა ერთმანეთს. კერძოდ:

ავტორიზაციის II სტანდარტი:
2.2. კურიკულუმის განხორციელება: დაწესებულების თვითშეფასებით **შეესაბამება,** ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **არ შეესაბამება. კერძოდ: 2.2.1 -ის 2, 3, 4, 5 და 6 ; 2.2.2 -ის 1, 2, 3 ; 2.2.3-ის 1,2, 3; 2.2.4.-ის 1 კომპონენტებში;**

ავტორიზაციის III სტანდარტი:
3.2 დაწესებულების თვითშეფასებით შეფასდა **შეესაბამება,** ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **არ შეესაბამება:**
კერძოდ: 3.2.1 – 3 კომპონენტში შეფასდა**,** როგორც **შეუსაბამო;**

ავტორიზაციის IV სტანდარტი:
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა: დაწესებულების თვითშეფასებით **მეტწილად შეესაბამება,** ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **არ შეესაბამება. კერძოდ:**
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება დაწესებულების თვითშეფასებით შეფასდა **მეტწილად შეესაბამება,** ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **არ შეესაბამება.** კერძოდ: **4.1.1. -ის** კომონენტი **1; 4.1.3-ის** კომპონენტი **2;**

4.2. პროცესების მართვა დაწესებულების თვითშეფასებით შეფასდა **შეესაბამება,** ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **არ შეესაბამება. კერძოდ: 4.2.1.** კომპონენტი **4;**

4.3. მატერიალური რესურსი დაწესებულების თვითშეფასებით შეფასდა **ნაწილობრივ შეესაბამება,** ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **არ შეესაბამება.**

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი შეფასება დაწესებულების თვითშეფასებით **შეესაბამება,** ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **არ შეესაბამება.**

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შეფასება: დაწესებულების თვითშეფასებით **შეესაბამება,** ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **არ შეესაბამება.**

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება დაწესებულების თვითშეფასებით **მეტწილად შეესაბამება,** ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **არ შეესაბამება.** კერძოდ: **4.6.1. -ის** კომპონენტი **3;**

4.7.ფინანსური რესურსი დაწესებულების თვითშეფასებით შეფასდა **შეესაბამება,** ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **არ შეესაბამება. კერძოდ: 4.7.1. -ის** კომპონენტი **2, 3;**

.....
.....
.....
.....
.....

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....
.....
.....
.....
.....

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....
.....
.....
.....

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2] *(პროგრამის სახე)* *„სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა“* *(კურიკულუმის დასახელება)* ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში,,

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

(მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის)		
2. კურიკულუმი	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☒ არ შეესაბამება**
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☒ არ შეესაბამება**
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7.ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია
1.2. სტრატეგიული განვითარება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

როგორც უკვე მოგახსენეთ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში ვიზიტისას დაფიქსირდა შემდეგი ვითარება: დაწესებულება ამჟამად ფუნქციონირებს ძველ შენობაში, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ახალი შენობა, სადაც დაწესებულება ავტორიზაციის მოპოვებას გეგმავს. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო, ასევე დოკუმენტაციის წარმოება. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე დაწესებულებას **მისია** წარმოდგენილი აქვს დოკუმენტით: „სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის № ბ 48. 202603519 ბრძანებით. ორგანიზაციის **მისია** ჟღერს შემდეგნაირად: „ჩვენი მისიაა, ხელი შევუწყოთ აღსაზრდელთა ჰოლისტურ განვითარებას და შევქმნათ უსაფრთხო, კეთილდღეობაზე ორიენტირებული გარემო. ინკლუზიური განათლების პრინციპებისა და თამაშზე დაფუძნებული სწავლების გზით, ჩვენ უზრუნველვყოფთ მზრუნველ და შემოქმედებით სივრცეს, რომელიც ეფუძნება მშობლებისა და თემის აქტიურ ჩართულობას“. წარმოდგენილ მისიაში ხაზგასმულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრიორიტეტულობა და დაწესებულების, როგორც კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცის, როლი.

ამრიგად, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და მკაფიოდ განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც კეთილდღეობაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სივრცეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები და წარმოდგენილია დოკუმენტით: „სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების წესი“- დამტკიცებულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის №48. 202603519 ბრძანებით და ასევე წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს 2026-2031 წლების სტრატეგიულ გეგმაში; **დაწესებულების ხედვაა:** „გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღები, მომავალში იქნებიან წარმატებული დაწესებულებები, ექნებათ გამართული და ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესი, ეყოლებათ პროფესიონალი და საკმარისი ადამიანური რესურსები, ექნებათ ტექნოლოგიურად განვითარებული და სრულად ადაპტირებული ინფრასტრუქტურა.“

დაწესებულების ღირებულებებია:

- გუნდური თანამშრომლობა;
- პოზიტიური გარემო და ტოლერანტობა;
- ბავშვის აღიარება და უფლებების დაცვა;
- გამჭვირვალობა და ღიაობა;
- ინოვაციები და სიახლეების მიმღებლობა;

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან. მკაფიოდ ჩანს, რომ ხედვა და ღირებულებები უზრუნველყოფს ხარისხიან, ინკლუზიურ და ბავშვზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს, თანამედროვე მეთოდების დანერგვას, პერსონალის ეფექტურ მუშაობასა და მშობლების აქტიურ ჩართულობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....

.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს: მართალია ხედვა შინაარსობრივად თანხვედრაშია სტანდარტის ინდიკატორების მოთხოვნებთან, თუმცა სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ორგანიზაციულ დოკუმენტებსა და თვითშეფასების ანგარიშში ასახული ღირებულებების ჩამონათვალის სრული შესაბამისობა და ჰარმონიზება, რათა დოკუმენტაციაში დაფიქსირებული ინფორმაცია იყოს ერთიანი და თანმიმდევრული. ასევე სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს დოკუმენტებში ასახული ღირებულებების შინაარსობრივი ერთიანობა, რათა სხვადასხვა ნაწილში წარმოდგენილი ღირებულებები ერთმანეთს სრულად შეესაბამებოდეს და ქმნიდეს თანმიმდევრულ და ერთიან ფორმულირებას;

.....
.....
.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში სტრატეგიული მართვის პროცესი რეგულირდება ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის მენეჯერის 2026 წლის 02 თებერვლის N№48.202603315 ბრძანებით დამტკიცებული წესით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუციურ სტაბილურობასა და განვითარებაზე ორიენტირებულობას. **ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობა (მე-4 მუხლი):** ორგანიზაციის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმირება წარმოადგენს ინკლუზიურ პროცესს. მასში აქტიურად არიან ჩართულნი როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული მხარეები, კერძოდ:

- სააგენტოს მენეჯმენტი (მენეჯერი, მოადგილე, ადმინისტრაციული და ფინანსური რგოლი);
- მეთოდოლოგიური ჯგუფი და ბაღების ადმინისტრაციული პერსონალი;
- ადგილობრივი თვითმმართველობის (მერიის) წარმომადგენლები;
- ბენეფიციართა კანონიერი წარმომადგენლები (მშობლები);
- საჭიროების შემთხვევაში, დარგობრივი ექსპერტები და კონსულტანტები.

დაგეგმვის საკვანძო პრინციპები (მე-5 მუხლი): სტრატეგიული დაგეგმვის ციკლი ეფუძნება ოთხ ფუნდამენტურ პრინციპს, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტის ვალიდურობას:

- **თანამონაწილეობა:** პროცესი მიმდინარეობს სამუშაო ჯგუფის ფორმატში, სადაც ხდება პროექტების გაზიარება და კოლეგიური განხილვა.
- **პრიორიტეტების გათვალისწინება:** დაწესებულება ახდენს მხარეთა მოლოდინების იდენტიფიცირებას ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში, რაც გარანტიას იძლევა, რომ სტრატეგია პასუხობს რეალურ საჭიროებებს (მათ შორის მეთოდისტების, აღმზრდელებისა და მშობლების ინტერესებს).
- **გამჭვირვალობა:** ინფორმაციის მუდმივი გაცვლა დაინტერესებულ მხარეებთან უზრუნველყოფს პროცესის ღიაობას.
- **ანგარიშვალდებულება:** დადგენილია მონიტორინგის მკაფიო ვადები — წლიური სამოქმედო გეგმისა და 2.5 წლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშგება. დოკუმენტების საჯაროობა გარანტირებულია მათი სოციალურ ქსელებში განთავსებით.

ამრიგად, მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს: მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ მშობლებიც, როგორც საბავშვო ბაღის მნიშვნელოვანი რგოლი, რათა დოკუმენტები სრულად ასახავდეს საზოგადოების საჭიროებებს, უზრუნველყოს თანამშრომლობისა და ურთიერთპასუხისმგებლობის კულტურა და გააძლიეროს ბაღსა და ოჯახს შორის პარტნიორობა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის №48.202603519 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების წესის“ (მუხლი 6. დოკუმენტების გაზიარება; მუხლი 8. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესი) თანახმად მკაფიოდ არის რეგლამენტირებული შემუშავებული დოკუმენტების დაინტერესებული მხარეებისათვის გაზიარების პროცედურა. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების ხელმისაწვდომობასა და სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობას განვითარების პროცესში. ეფექტური კომუნიკაციისთვის დაწესებულება იყენებს შემდეგ საკომუნიკაციო არხებს:

- **ოფიციალური ციფრული პლატფორმები:** ბაღის ვებ-გვერდი და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (**apss.gov.ge**), რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ოფიციალურ ხელმისაწვდომობას;
- **პირდაპირი კომუნიკაცია:** სოციალური მედია, რაც ორიენტირებულია ინფორმაციის სწრაფ გავრცელებაზე;
- **ინტერაქციული ფორმატები:** საჯარო შეხვედრები, რაც იძლევა დოკუმენტების შინაარსის უშუალო გაზიარებისა და განხილვის შესაძლებლობას.

დაწესებულებაში განსაზღვრული საკომუნიკაციო არხების მრავალფეროვნება (როგორც ადმინისტრაციული, ისე საჯარო პლატფორმები) ადასტურებს, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების პროცესი არის სისტემური. მრავალმხრივი საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება მინიმუმამდე ამცირებს ინფორმაციულ ბარიერებს და ხელს უწყობს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 04/02/2026 ბრძანება № ბ48. 202603519 სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის შექმნისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- ✓ „ სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების წესი„ ;
- ✓ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 04/02/2026 ბრძანება: ბ48. 202603520 2026-2031 წლების სტრატეგიული გეგმისა და 2026 წლის (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ✓ 2026 წლის სამოქმედიო გეგმა;
- ✓ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს 2026-2031 წლების სტრატეგიული გეგმა - დამტკიცებულია სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის Nბ48. 202603520 ბრძანებით;
- ✓ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების სამოქმედო გეგმა (2026 -2027 წლები);
- ✓ მისიის, ხედვის და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინოდ.
- ✓ ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიური დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში შემუშავებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების გამართული სისტემა. აღნიშნული პროცესი რეგულირდება 2026 წლის 02 თებერვლის გაერთიანების მენეჯერის №48.202603315 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, რომლის მე-13, მე-14 და მე-15 მუხლები განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარების გეგმის სისტემურ და ხარისხობრივ კონტროლს. ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ მონიტორინგის ეს მექანიზმი ორიენტირებულია არა მხოლოდ დასახული მიზნების შესრულების დინამიკაზე, არამედ არსებული გამოწვევების დროულ იდენტიფიცირებასა და რესურსების ოპტიმალურ განაწილებაზე. შეფასების ციკლის თანმიმდევრულობა, რომელიც ყოველი სასწავლო-სააღმზრდელო წლის ბოლოს ხორციელდება, იძლევა გასული პერიოდის შედეგების კომპლექსური ანალიზის შესაძლებლობას. სააგენტოს ანგარიშგების პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ყოველწლიურ ნარატიულ ანგარიშებსა და 2.5-წლიან სტრატეგიულ შეფასებას, ხასიათდება მაღალი გამჭვირვალობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ანგარიშგების ფორმატი არ შემოიფარგლება მხოლოდ წინასწარ გაწერილი აქტივობების აღწერით; სააგენტო უფლებამოსილია დოკუმენტში ასახოს დამატებითი ინდიკატორები, როგორიცაა სიღრმისეული სტატისტიკური ინფორმაცია, სხვადასხვა აქტივობის ამსახველი ვიზუალური მასალა და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად ზრდის შეფასების პროცესის ვალიდურობას და წარმოაჩენს ორგანიზაციის განვითარების რეალურ, მრავალმხრივ სურათს.

მეთოდოლოგია ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას: საგანმანათლებლო პერსონალი, მშობლები, თანამშრომლები და სხვა დაინტერესებულ მხარეები. მეთოდოლოგია მოიცავს სიტუაციის ანალიზს, კერძოდ კი დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების აღწერას SWOT ანალიზის გამოყენებით. მეთოდოლოგია ასევე მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....
.....

რეკომენდაცია

..,.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს სტრატეგიული მართვის პროცესი ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ მეთოდოლოგიურ და სამართლებრივ ჩარჩოს. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების წესი დამტკიცებულია სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის №48.202603519 ბრძანებით (მუხლი 10. სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია), რაც უზრუნველყოფს პროცესის ვალიდურობასა და ინსტიტუციურ მოწესრიგებას. ექსპერტების აზრით, სააგენტოს სტრატეგიული განვითარების მოდელი ხასიათდება მდგრადი ციკლურობით — დაგეგმვის პროცესი ხორციელდება არანაკლებ ხუთ წელიწადში ერთხელ, რაც გრძელვადიანი სტაბილურობის წინაპირობაა. ამასთანავე, სისტემის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის დაწყება გაწერილია მოქმედი დოკუმენტის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს ოთხი თვით ადრე, ან შესაბამისი სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ცვლილებისას — გონივრულ ვადაში. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ დაწესებულებაში დანერგილია დაგეგმვის არა ფრაგმენტული, არამედ თანმიმდევრული ციკლი, რომელიც ორიენტირებულია ორგანიზაციის განვითარების უწყვეტ დინამიკაზე.

სტრატეგიული გეგმა ციკლურია და შესაბამისია მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. კერძოდ: განსაზღვრული აქვს 5 სტრატეგიული მიზანი და SWOT–ანალიზზე დაყრდნობით, შეიმუშავებულია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები . კერძოდ:

1.გორის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და რეაბილიტაცია/ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.საბავშვო ბაღებში განათლების კომპონენტის ხარისხის ამაღლება, სრულყოფა - ინკლუზიური განათლება.

2. გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საგანმანათლებლო კომპონენტის ხარისხის ოპტიმიზაცია და ინკლუზიური განათლების მოდელის განვითარება/ პროფესიონალი ადამიანური რესურსის მოძიება საკმარისი კადრები.
3. დაწესებულებების უზრუნველყოფა კომპეტენტური კადრებითა და პროფესიული რესურსის კონსოლიდაცია.
4. გორის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ოჯახის, მშობელთა საზოგადოებისა და თემის ჩართულობის მექანიზმების გაძლიერება და სოციალური პარტნიორობის განვითარება.
5. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ტექნოლოგიური მხარდაჭერა და ინოვაციური საგანმანათლებლო რესურსების ათვისება.

ამრიგად, დაწესებულებას სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს, დროს, შესრულების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებს, საჭირო ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**
.....
.....
რეკომენდაცია:
.....
.....
რჩევა
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების საქმიანობის დაგეგმვის პროცესი სრულად შეესაბამება ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის მენეჯერის 2026 წლის 02 თებერვლის N№48.202603315 ბრძანებით დადგენილ სტანდარტებს. დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სტრატეგიული მიზნების რეალიზაციის ეფექტურ ინსტრუმენტს, რაც რეგულირდება ზემოაღნიშნული წესის მე-11 მუხლით.

აღსანიშნავია სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიური სიზუსტე, რომელიც მოიცავს პროექტის მომზადების, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისა და უკუკავშირის ასახვის ეტაპებს. გეგმის სტრუქტურა სრულყოფილად პასუხობს მართვის თანამედროვე მოთხოვნებს, რამდენადაც ის სავალდებულო წესით განსაზღვრავს სტრატეგიულ ამოცანებს, კონკრეტულ აქტივობებს, შესრულების ინდიკატორებს, ვადებს, პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსებს (მატერიალურ, ადამიანურ და ფინანსურ ჭრილში). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაგეგმვის პროცესის ინდივიდუალიზაცია — თითოეული ბაღისთვის დამოუკიდებელი სამოქმედო გეგმის შემუშავება უზრუნველყოფს სპეციფიკური საჭიროებების ადეკვატურ ასახვას. ამასთან, დოკუმენტში დაცულია განვითარების უწყვეტობის პრინციპი: მომდევნო წლის გეგმაზე მუშაობა იწყება მიმდინარე ციკლის დასრულებამდე 3 თვით ადრე, რაც გარანტიას იძლევა, რომ ახალი ამოცანები თანმიმდევრულ ბმაშია წინა პერიოდის შედეგებთან. მონიტორინგის შედეგებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა კი მიუთითებს მართვის სისტემის მოქნილობასა და მის ორიენტაციაზე მუდმივ გაუმჯობესებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების სამოქმედო გეგმის ანალიზი ადასტურებს, რომ დოკუმენტი სრულად პასუხობს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ტრანსფორმაციას კონკრეტულ, გაზომვად აქტივობებში. ექსპერტების აზრისით, გეგმის სიძლიერეს განაპირობებს მისი სტრუქტურული გამართულობა: თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია ვალიდური და გაზომვადი ინდიკატორები, რაც შედეგების ობიექტური შეფასების შესაძლებლობას იძლევა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გეგმაში გაწერილი ვადები არის სრულიად რეალისტური და მისადაგებული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სპეციფიკასთან. ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების დელეგირება კონკრეტულ პირებსა თუ სტრუქტურულ ერთეულებზე უზრუნველყოფს შესრულების მაღალ ხარისხსა და ანგარიშვალდებულებას. ამასთანავე, დოკუმენტში იკვეთება რესურსების ოპტიმალური დაგეგმვა — მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების გათვალისწინება ხდება დაწესებულების რეალური შესაძლებლობების ფარგლებში, რაც გეგმის განხორციელებადობას ხდის გარანტირებულს. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ დაგეგმვის პროცესი ეფუძნება არა მხოლოდ თეორიულ ხედვას, არამედ პრაქტიკულ რაციონალიზმს, რაც აუცილებელია სტრატეგიული ამოცანების წარმატებული განხორციელებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ხორციელდება მყარი მეთოდოლოგიური სტანდარტების დაცვით, რაც რეგულირდება „სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების წესი“ (მუხლი 13.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება) მოთხოვნების შესაბამისად. ექსპერტების ანალიზით დასტურდება, რომ სააგენტოში დანერგილია სისტემური და ხარისხობრივი შეფასების მოდელი, რომელიც სასწავლო-სააღმზრდელო წლის დასრულებისთანავე იძლევა გასული პერიოდის შედეგების კომპლექსური რევიზიის შესაძლებლობას. აღნიშნული მექანიზმი ეფექტურად უზრუნველყოფს დასახული მიზნების შესრულების დინამიკის კონტროლს, არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა და რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას. ანგარიშვალდებულების პროცესში მნიშვნელოვანია საკონსულტაციო საბჭოს ფუნქცია. საბჭო ახდენს ფაქტობრივი მაჩვენებლების შედარებას დაგეგმილ ინდიკატორებთან და ამზადებს შესაბამის დასკვნებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული პროცესი ემსახურება მართვის ადაპტირებას, ვინაიდან საბჭოს მიგნებები გავლენას ახდენს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმებზე, მეთოდოლოგიურ ცვლილებებსა და საჭიროებისამებრ, სტრატეგიულ კორექტირებაზე. დაწესებულების სტრატეგიული მართვა ეფუძნება სისტემურ მიდგომას, რომელიც ორიენტირებულია ინსტიტუციური საქმიანობის პერიოდულ გადახედვასა და ოპტიმიზაციაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის №48.202603519 ბრძანებით დამტკიცებული წესი უზრუნველყოფს მონიტორინგისა და შეფასების მრავალმხრივი მექანიზმი (მე-14 და მე-15 მუხლები) სამუშაო შეხვედრებზე აქტივობებს

ენიჭებათ სტატუსი („შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“), აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოადგენს საფუძველს დაწესებულების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სტრატეგიული კორექტირებისათვის.
განსაკუთრებით ხაზგასასმელია სააგენტოს მაღალი ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე. სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-15 მუხლის შესაბამისად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები საჯარო და ხელმისაწვდომია. სააგენტო საჯაროობის უზრუნველსაყოფად იყენებს მრავალფეროვან საკომუნიკაციო არხებს, კერძოდ: ბაღების ვებ-გვერდს, ელექტრონულ ფოსტას, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას (apss.gov.ge), სოციალურ მედიასა და საჯარო ღონისძიებებს (შეხვედრები, ვორქშოპები). ექსპერტების დასკვნის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების საჯაროობა არა მხოლოდ გამჭვირვალობის გარანტიაა, არამედ წარმოადგენს დაწესებულების შემდგომი განვითარების მთავარ ორიენტირს, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის მუდმივ ამაღლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**
.....
.....
.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 04/02/2026 ბრძანება № ბ48. 202603519 სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის შექმნისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- ✓ „ სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების წესი„ ;

- ✓ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 04/02/2026 ბრძანება: №48. 202603520 2026-2031 წლების სტრატეგიული გეგმისა და 2026 წლის (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ✓ 2026 წლის სამოქმედიო გეგმა;
- ✓ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს 2026-2031 წლების სტრატეგიული გეგმა - დამტკიცებულია სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის №48. 202603520 ბრძანებით;
- ✓ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების სამოქმედო გეგმა (2026 - 2027 წლები);
- ✓ საკონსულტაციო საბჭოს სხდომის ოქმები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2. კურიკულუმი [3]

პროგრამის სახე

„სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა“;

კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (მეთოდური სახელმძღვანელო 2- დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის)

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

[3]მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის მენეჯერის მიერ 09/02/2026 წლის №48. 202604019 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი.
რომლის, თანახმად კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
მუხლი 2. კურიკულუმის შერჩევა
ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა;
ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა;
გ) კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა;
დ) კურიკულუმის/კურიკულუმების დამტკიცება.
დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმძღვანელო ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში" (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის), რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 03.02.2026 წლის ბრძანება: №48. 202603429-ით; ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების წესი დამტკიცებული ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ 09/02/2026 წლის №48. 202604019 ბრძანებით.
ზემოაღნიშნული ბრძანების მიხედვით, დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით:
ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში,, (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში,, (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის). აღნიშნული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას, უზრუნველყოფს ბავშვის შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებას შემეცნებით, მეტყველების, სოცილური, ემოციური და ფიზიკური სფეროების. სწავლება მიმდინარეობს უსაფრთხო და მხარდამჭერ გარემოში. ასევე მნიშვნელოვანია ოჯახთან და თემთან თანამშრომლობის ხელშეწყობა;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში,, (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის). თამაში შერჩეული კურიკულუმის განხორციელების უმთავრესი საშუალებაა. იგი ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, ბავშვებს აქვთ თავისუფლება აირჩიონ აქტივობა, იპოვონ გადაჭრის გზები და გამოხატონ საკუთარი აზრი თამაშის საშუალებით; კურიკულიმი აძლევს ბავშვებს ექსპერიმენტირების, დაკვირვებისა და კვლევა - აღმოჩენების გზით მიიღონ ცოდნა, აღმზრდელი თამაშის პროცესში მოქმედებს როგორც პარტნიორი და დამკვირვებელი, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ინიციატივას და თამაშის ეტაპების განვითარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში,, (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის). შერჩეული კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: სასწავლო - სააღმზრდელო პროცესში ოჯახებთან თანამშრომლობას ინფორმაციის გაზიარების მიზნით, მშობელთა შეხვედრების, კონსულტაციებისა და ღია კარის დღეების ორგანიზებას. კურიკულუმი ითვალისწინებს თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: თემში არსებული რესურსის ათვისებით საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნებისათვის, ასევე თემის წარმომადგენელთა ჩართვას თანამშრომლობითი ღონისძიებების ორგანიზებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში,, (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის). აღნიშნული კურიკულუმი მრავალფეროვან საქმიანობებს ითავლისწინებს დღის ეფექტური განრიგით, ყოველდღიური საქმიანობებით და პროცესებით. კურიკულუმი ითვალისწინებს ბავშვის ასაკს, განვითარების დონეს, საჭიროებებს და ინტერესებს, პიროვნულ თავისებურებებს, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებს, რაც უზრუნველყოფს ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. ასევე მრავალფეროვნება ვლინდება კურიკულუმის „თემასა და პროექტებში“;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება სააღმზრდელო პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს ადრეული განათლების კურიკულუმით — **„თამაში“** (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის).

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის 9 თებერვლის **№48.202604019** ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის“ (მუხლი 3) შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეებად განსაზღვრულნი არიან:

- მშობლები;
- დაწესებულების პერსონალი;
- თემი/მუნიციპალიტეტი.

კურიკულუმის გაზიარების მიზნით, დაწესებულება იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესით“ გათვალისწინებულ შემდეგ არხებს:

1. პირისპირ შეხვედრები;
2. სატელეფონო კომუნიკაცია;
3. ელექტრონული ფოსტა (saagento18@gmail.com);
4. სააგენტოს ოფიციალური Facebook-გვერდი (fb.com/gorikids);
5. Messenger-ის დახურული სამუშაო ჯგუფები.

ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ კურიკულუმი გაზიარებულია პერსონალთან, მშობლებთან და თემთან. მენეჯერი, მეთოდისტი, აღმზრდელები, თანაშემწეები და მუსიკის მასწავლებელი გასაუბრებისას ადასტურებენ, რომ კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელმა ჯგუფმა მათ სრულად გააცნო პროგრამა (ოქმი N1. 13.03.2026). მშობლებთან და თემთან კომუნიკაციის დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ფოტომასალა და გაერთიანებული მშობელთა კრების შეხვედრის ოქმი (ოქმი N2 18.03.2026 მშობელთა კრების ოქმი)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....
.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ - (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის) - დამტკიცებულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 03.02.2026 წლის ბრძანება: №48. 202603429-ით;
- ✓ „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგული წესი“- დამტკიცებული ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ 09/02/2026 წლის N№48. 202604019 ბრძანებით.
- ✓ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ დამტკიცებული ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ 09.02.2026 წლის ბრძანება:№48. 202604020-ით;
- ✓ 12.02.2026 წლის ბრძანება: №48. 202604320 „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ დამტკიცების შესახებ;

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი დამტკიცებულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ 09/02/20262026 წლის №48. 202604020 ბრძანებით. წესი არეგულირებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პერიოდულობას და ხანგრძლივობას. ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმების შესაბამის გეგმებს. დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი (ყოველკვირეული) და გრძელვადიანი (წლიური) და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმების მოთხოვნებს''- ვკითხულობთ აღნიშნული წესის მე-3 მუხლში (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა).
საბავშვო ბაღში შემუშავებულია ასევე დღის განრიგი. დღის განრიგი უზრუნველყოფს ბავშვისთვის დროის იმგვარად განაწილებას, რომ გათვალისწინებული იყოს როგორც ინდივიდუალური თამაში, ასევე ჯგუფური აქტივობები, რუტინა, ტრანზიციები და დასვენება. დღის განრიგი განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**
.....
.....
რეკომენდაცია
.....
.....
რჩევა
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი დამტკიცებული ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ 09/02/20262026 წლის №48. 202604020 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე-3 მუხლში - საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შემდეგნაირად: **გრძელვადიანი გეგმა** იქმნება გაერთიანების მენეჯერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი.
მოკლევადიანი გეგმა იქნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს მეთოდისტი. ამ წესის მე-3 მუხლით დადგენილია, რომ ,,გრძელვადიანი (წლიური) და მოკლევადიანი (ყოველკვირეული) გეგმების ფორმები დამტკიცებულია (ამავე წესის დანართად) დაწესებულების დირექტორის ბრძანებით''-ვკითხულობთ წესში, თუმცა აღნიშნული წესის დამტკიცების ბრძანების შინაარსში არ იკითხება გრძელვადიანი (წლიური) და მოკლევადიანი (ყოველკვირეული) გეგმების ფორმების დამტკიცების შესახებ, ბრძანების შინაარსში მითითებულია დანართი, რომელიც არის ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი", ცალკე გეგმების ფორმების დამტკიცებაზე დირექტორის ბრძანება არ იქნა ნანახი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა 2.2.1.2 ინდიკატორთან დაკავშირებით მტკიცებულება და ექსპერტის მიერ დადგენილი შეუსაბამობის გაბათილების მიზნით საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი დამტკიცებული ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ:16/03/2026 წლის №48. 202607516ბრძანებით, დანართი 2-ისა და დანართი 3-ის სახით წარადგინა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმები.

შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....

.....

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ 09/02/2026 წლის №48. 202604020 ბრძანებით დამტკიცებული „**საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის წესი“.** აღნიშნული წესის მე-3 მუხლის მიხედვით გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების შემუშავებისას გათვალისწინებულია ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოკლევადიანი გეგმა იძლევა, ჯგუფის დონეზე ინდივიდუალიზაციისა და რეფლექსური ჩაანაწერის საშუალებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის ფორმა არ არის დამტკიცებული ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ 09/02/20262026 წლის №48. 202604020 ბრძანებით, საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის მე-3 მუხლის მიხედვით.
ადგილზე ვიზიტისას, აღმზრდელებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ აქვთ ცოდნა ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები ასახონ გეგმებში და რეფლექსურ ჩანაწერებში. ისინი ადასტურებენ რომ საგანმანათლებლო პროცესში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია: აღმზრდელის პორტფოლიო, რომელიც მოიცავს: დღის განრიგს, გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს, რეფლექსურ ჩანაწერებს; ბავშვზე დაკვირვების და შეფასების ანალიზს, ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები, რომელიც მოიცავს: ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს, ბავშვის შეფასების ჩანაწერებს, ბავშვის ნამუშევრებს, ბავშვის ნამუშევრის ფოტოებს, ბავშვების ფოტოებს სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს. ასევე, აღმზრდელებმა იციან რომ, მოკლევადიანი გეგმების შემუშავების პროცესში ჩართული უნდა იყოს ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალი: პირველი და მეორე ცვლის აღმზრდელები, მუსიკის მასწავლებელი, აღმზრდელის თანაშემწე. ისინი ერთმანეთს ხვდებიან ძირითადად პარასკევს, აჯამებენ განვლილი კვირის გეგმას (რაც დასტურდება კვირის რეფლექსიური ჩანაწერებით) და თანხმდებიან შემდეგი კვირის კურიკულუმით გათვალისწინებულ მიზნებსა და თემაზე. ასევე გეგმავენ ინდივიდუალიზაციას ბავშვის/ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, პერსონალის შეხვედრის დრო განისაზღვრება 2- დან 3 საათმდე პერიოდში. კვირის გეგმა არის დათარიღებული, აღმზრდელები აქტივობების დაგეგმვისას ითვალისწინებენ, როგორც თემატურ, ასეევ ბავშვების ინტერესებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

არსებული გეგმის ფორმა, რითიც ხელმძღვანელობენ აღმზრდელები, შეესაბამება კურიკულუმით გათვალისწინებულ ფორმას, თუმცა სასურველია გეგმის რვეული, ანდა დაბეჭდილი თბახის ფურცლები, აღმზრდელებმა აწარმოონ თავისუფლად, გეგმა არ საჭიროებს ბეჭედს და შეკერვა/აკინძვას, ფურცლების დანომვრას, ეს ზღუდავს აღმზრდელის თვისუფლებას გეგმის წერისას. მუსიკის მასწავლებელმა აწარმოოს დაკვირვების ჩანაწერები, ასევევ რეფლექსიური ჩანაწერები, რაც დაეხმარება უკეთესად განსაზღვროს კვირის გეგმების მუსიკალური აქტივობები. ასევე აწარმოოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები.

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულება2.2.1.3 ინდიკატორთან დაკავშირებით და ექსპერტის მიერ დადგენილი შეუსაბამობის გაბათილების მიზნით საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი დამტკიცებული ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ:16/03/2026 წლის N№48. 202607516ბრძანებით, დანართი 2-ისა და დანართი 3-ის სახით წარადგინა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმები.

შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ 09/02/20262026 წლის N№48. 202604020 ბრძანებით დამტკიცებული **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის წესი“.**
აღნიშნული წესის მე-4 მუხლის მიხედვით ინდივიდუალიზაციის ასპექტი მოიცავს:
1. ამ წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალიზაცია ვლინდება მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის შეტანით/გაწერით.
2. ინდივიდუალიზაციის გრაფაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების მიღწევის საშუალებები.
მოკლევადიანი გეგმის ფორმით, რომელიც ითვალისწინებს, ინდივიდუალიზაციის ჩანაწერს, რომელიც არ არის დამტკიცებულია(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ, საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით. ასევე არ არის დამტკიცებული დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბავშვის ინდივიდუალური შეფასების ინსტრუმენტები.
საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუში ადასტურებს რომ, ინდივიდუალიზაციის კომპონენტი გამოიყენება ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიოს (დაკვირვება, შეფასება) საფუძველზე განსაზღვრული საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური სტრატეგიების

დასაგეგმად. ასევე, ინდივიდუალიზაცია საჭიროა უფრო მეტი ბავშვისთვის, მათი ინდივიდუალური ტემპისა და თავისებურებების გასათვალისწინებლად, რაც ასახული უნდა იყოს ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების ინსტრუმენტებში (აღნიშნული შეინახება ბავშვის პორთფოლიოში), ხოლო მისაღწევი სტრატეგიები კი გაიწერება მოკლევადიანი გეგმის ინდივიდუალიზაციის გრაფაში.
დაწესებულებამ ადგილზე წარმოადგინა ინდივიდუალური გეგმის ნიმუში, ინდივიდუალურ გეგმაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნები და მიზნების მიღწევის საშუალებები. ასევე აღნიშნავენ რომ, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან სამუშაოდ გამოიყენებენ ინდივიდუალურ გეგმას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებულია.**
.....
.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს: ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ, „საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესის“, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის აღსრულება, მათ მიერ შემუშავებული/წარმოდგენილი მოკლევადიანი და გრძელვადიანი, ასევე ბავშვის ინდივიდუალური გეგმის ფორმის დამტკიცება. ასევე უზრუნველყოს ბავშვის ინდივიდუალური შეფასების ინსტრუმენტების დამტკიცება.

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულება2.2.1.4 ინდიკატორთან დაკავშირებით და ექსპერტის მიერ დადგენილი შეუსაბამობის გაბათილების მიზნით საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი დამტკიცებული ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ:16/03/2026 წლის №48. 202607516ბრძანებით, დანართი 2-ისა და დანართი 3-ის სახით წარადგინა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმები. ასევე ბავშვის ინდივიდუალური შეფასების ფორმა და შეფასების პორტფოლიო, თუმცა ინდივიდუალური გეგმის ფორმები არ აქვთ დანართის სახით წარმოდგენილი.

შესაბამისად ექსპერტთა შეფასება არ იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ 09/02/20262026 წლის N№48. 202604020 ბრძანებით დამტკიცებული **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის წესი“.** აღნიშნული წესის მე- 3მუხლის . მე-5 პუნქტის თანახმად ჩანს რომ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა თამაშზე ორიენტირებული პროცესია. პუნქტი 5. დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმები დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით ამავე წესის დანართად და მოიცავს შემდეგ ასპექტებს :გ) თამაშზე ორიენტირებული პროცესი;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოკლევადიანი გეგმა, რომელიც არ არის დამტკიცებული მოიცავს თამაში/თამაშის ელემენტებზე ორიენტირებულ პროცესს, რაც ვლინდება მოკლევადიანი გეგმის კომპონენტებში -უფროსის მიერ ინიცირებული აქტივობები/ან პროვოკაციებ, ტრანზიცია, რუტინა, დილის წრე, საღამოს წრე.გასაუბრების შედეგებითა და დღის განრიგით დასტურდება, რომ აღმზრდელები იყენებენ თამაშს/თამაშის ელემენტებს საგანმანათლებლო პროცესში და ასევე ის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია. ძირითადად გამოიყენება ცეკვით, მუსიკით, და ვიზუალური მინიშნებებით აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლა. აღნიშნული ინდიკატორი ასევე დასტურდება სააღმზრდელო გარემოს შიდა და გარე სივრცეების მოწყობის თავისებურებებით, შესაბამისი რესურსებით, როგორც ბუნებრივი, ასევე მეორადი, რაც ბავშვებს აძლევს საშუალებას იყვნენ შემოქმედებითები და თავისუფლები არჩევანში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული;**

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულება2.2.1.5ინდიკატორთან დაკავშირებით და ექსპერტის მიერ დადგენილი შეუსაბამობის გაბათილების მიზნით საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი დამტკიცებული ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ:16/03/2026 წლის №48. 202607516ბრძანებით, დანართი 2-ისა და დანართი 3-ის სახით წარადგინა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმები.

შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ბრძანება №48. 20260295თარიღი:29/01/2026 2026 წლის **დღის განრიგის** დამტკიცების შესახებ.დაწესებულების მიერ შემუშავებულ ყოველკვირეულ გეგმებში არსებული კომპონენტები და დღის განრიგით წარმოდგენილი თამაშისათვის განკუთვნილი დრო ითვალისწინებს ბავშვების ჩართულობას სხვადასხვა ტიპის თამაშებში შემდეგი მიმართულებებით: დრამატული და წარმოსახვითი, სამაგიდო და კონსტრუქციული, სენსორული კვლევითი, შემოქმედებითი მოძრავი და რისკიანი თამაშები.
შიდა სივრცე ამ ეტაპზე არ არის მოწყობილი, თუმცა აღმზრდელები ფლობენ ინფორმაციას თუ როგორ მოაწყობენ ოთახის სივრცეს, კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო თერმატურ: დრამატული, კონსტრუქციული, სამაგიდო, სენსორული, კვლევითი, შემოქმედებითი და მოძრავი თამაშებისათვის განკუთვნილ სივრცეებად.
გარე სივრცის მოწყობა იძლევა როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური თამაშის საშუალებას. ეზოში არ არის გამოყოფილი დრამატული, სამაგიდო, კვლევის და შემოქმედებითი თამაშებისათვის სივრცეები, ასევე არ არის განმარტოებისათვის სივრცე/კარავი, რაც შეეხება რისკიან თამაშებს, არ არსებობს ბარიერის გადალახვისათვის საჭირო აღჭურვილობა, გასაძრომები და საცოცი საშუალებები დაწესებულებაში. არსებული სასრიალო და საქანელა, ბალანსის მოწყობილობა გათვალისწინებულია განსხვავებული ასაკობრივი ჯგუფებისათვის. აღნიშნული ინვენტარი საჭიროა რისკიანი თამაშებისათვის, რათა ბავშვმა განივითაროს ფიზიკური, სოციალური და დამოუკიდებლობის უნარები. გარე სივრცეში არის მზისაგან და ქარისაგან დამცავი საჩრდილობელი,სადაც განთავსებულია ეზოს სკამი.ეზოში არ არის სკამები და მაგიდები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული;**

.....
.....
.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს: საძრომ/საცოცი საშუალებების გამოყოფა,საქვიშეების მოწყობა მზისაგან დაამცავი საჩრდილობელით,გარე სივრცეში კურიკულუმით გათვალისწინებული ცენტრების მოწყობა.
შიდა სივრცის,ჯგუფური ოთახების მოწყობა ცენტრებად,ცენტრების აღჭურვა შესაბამისი რესურსით,რომელიც ბავშვებისათვის იქნება ხელმისწვდომი.

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს 2.2.1.6 ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად საჭირო აქტივობები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები,(ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერი;) საჭირო რესურსები და შესასრულებლად გაწერილი აქვს გონივრული ვადა 24 თვე. (20.05.2026 20.05.2028)

შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **ნაწილობრივ შეესაბამება.**

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი დოკუმენტით**„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“-თ №48. 02607516 თარიღი 16 მარტი 2026. მუხლი 6.** საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება.
აღნიშნული წესის თანახმად მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და პირდაპირი შესყიდვის გზით.
საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:მექანიზმში გაწერილი პროცესი უზრუნველყოფს რესურსების

მიწოდებას შეუფერხებლად, რაც ვლინდება თავად მექანიზმში, სადაც აღწერილია თუ როგორ ხდება საჭიროებების იდენტიფიცირება (ჩანაწერი - „ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს“, „ბავშვის ჰოლისტრი განვითარებისათვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს“); როგორ ხდება მათზე რეაგირება („მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხდება საგანმანათლელობ პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება ბრძანებით“); განსაზღვრულია, თუ რა პერიოდულობით ხდება რესურსების განახლება (საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, პერიოდული ინვენტარიზაციის გზით). დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პერსონალისა და ხელმძღვანელის განმარტებით, მოქმედებს მექანიზმის შესაბამისად. ინტერვიუში, აღმზრდელი აღნიშნავს, რომ წლის დასაწყისში სხვა საგანმანათლებლო პერსონალთან ერთად განსაზღვრავს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხას, აღნიშნულის შესახებ კი ინფორმაციას აწვდის ბაგა-ბაღის ხელმძღვანელს, რომელიც თავის მხრივ წარუდგენს ნუსხას დაწესებულების დირექტორს. აღნიშნული ნუსხა დაწესებულებამ წარმოადგინა,მოხსენებითი ბარათის სახით, თუმცა ნუსხის დამტკიცების შესახებ ბრძანება დაწესებუელბამ ვერ წარმოადგინა.
ინტერვიუს დროს გამოჩნდა რომ,საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პერსონალისა და ხელმძღვანელის განმარტებით, მოქმედებს მექანიზმის შესაბამისად. ინტერვიუში, აღმზრდელები აღნიშნავენ, რომ წლის დასაწყისში სხვა საგანმანათლებლო პერსონალთან ერთად განსაზღვრავენ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხას, აღნიშნულის შესახებ კი ინფორმაციას აწვდიან დირექტორს, რომელიც თავის მხრივ წარუდგენს ნუსხას დაწესებულების ხელმძღვანელს. თუმცა აღნიშნული ნუსხა და ნუსხის დამტკიცების შესახებ ბრძანება დაწესებუელბამ ვერ წარმოადგინა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**
.....
.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნვლეყოფის წესის თანახმად, დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს და დაამტკიცოს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა ბრძანებით.

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს 2.2.2.1 ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად საჭირო აქტივობები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები,(ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერი;) საჭირო რესურსები და შესასრულებლად გაწერილი აქვს გონივრული ვადა 2თვე. (20.05.2026 20.07.2026)
შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. აღნიშნული წესის მე-5 მუხლის თანახმად, სააგენტო ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროცესში რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფას სხვადასხვა გზებით (დონაცია, მეორადი რესურსების შეგროვება, დამზადება და შესყიდვა). ამავე მექანიზმის მე-6 მუხლის მიხედვით დაწესებულებას გაწერილი აქვს რესურსების საჭიროების განსაზღვრის, მათი შესყიდვის და მიწოდების სქემა.
სააღმზრდელო პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პერიოდულად ჯგუფისა და ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე ხდება რესურსების დამატებითი მოთხოვნა, აღმზრდელი მოკლე ჩანაწერის სახით რესურსების ჩამონათვალს მიაწვდის დირექტორს, დირექტორი რესურსების ჩამონათვალს გააცნობს სააგენტოს .. ამ წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით კი დაწესებულებას უნდა ჰქონდეს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა რომელიც მტკიცდება გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის ბრძანებით, რაც ვერ იქნა წარმოდგენილი, რის გარეშეც ვერ დადგინდება რესურსების კურიკულუმთან შესაბამისობა, ბავშვთა ზღვრული რადენობის გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**
.....
.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: დაწესებულებამ შექმნას საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ნუსხა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, რომელიც ასახავს როგორც რესურსის სახეობებს, ასევე რაოდენობრივ მინიმუმს თითოეულ ბავშვზე. აღნიშნული ნუსხა დამტკიცდეს ადმინისტრაციული აქტით (ბრძანება) და გახდეს დაწესებულების პრაქტიკის ნაწილი.

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს 2.2.2.2 ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად საჭირო აქტივობები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები,(ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერი;) საჭირო რესურსები და შესასრულებლად გაწერილი აქვს გონივრული ვადა 2თვე. (20.05.2026 20.07.2026)
შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ დამტკიცებული ბრძანება: ბ48. 202603429 თარიღი: 03/02/2026 კურიკულუმის დამტკიცების შესახებ. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი წარმოდგენილია დანართი 4 სახით. აღნიშნული კურიკულუმი განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად: დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას- ფიზიკური გარემო უნდა იყოს სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად დაყოფილი, მყუდროდ მოწყობილი ოთახი, ხის ფაქტურის ავეჯითა და ნეიტრალური ფერის კედლებით. ფიზიკური გარემო უნდა იყოს მოწყობილი ისე, რომ პასუხობდეს კურიკულუმის მიზნებს, ბავშვის განვითარების სტანდარტსა და პროგრამის ხარისხის სტანდარტს, აღძრავდეს ბავშვებში ცნობისმოყვარეობას, წაახალისოს კვლევა, კითხვების დასმა, შემოქმედებითობა, ემოციური და სოციალური უნარების განვითარება. სივრცე უნდა იყოს მორგებული ბავშვთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებზე, უზრუნველყოფდეს თავისუფალ, ინიციატივაზე დაფუძნებულ თამაშსა და მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობას როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში. კურიკულუმი ასევე ითვალისწინებს ოთახის ფიზიკურ მახასიათებლებს - განათება, სივრცის ზომა, უსაფრთხოება.

დაწესებულებაში არსებული ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცის მოწყობა ამ ეტაპზე არ არის განხორციელებული,ინტერვიუდან ნათლად ჩანს რომ, ბაღის დირექტორი,აღმზრდელები, მუსიკის მასწავლებელი ინფორმირებულები არიან კურიკულუმით გათვალისწინებული ჯგუფის ოთახის სივრცეებად მოწყობისთვის.:(შეხვედრების სივრცე; კუბურების/კონსტრუქციის ცენტრი; წიგნიერების ცენტრი; სამაგიდო თამაშების ცენტრი; ხელოვნების ცენტრი; დრამის ცენტრი; სენსორული ცენტრი; მეცნიერების ცენტრი. ოთახი არის მყუდრო და ნათელი, კედლები ჯგუფებში არის ნეიტრალური ფერის. დაწესებულებაში არის დარბაზისთვის გამოყოფილი სივრცე.
დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა ვლინდება შემდეგში: ეზოში/გარე სივრცეში განთავსებული მოწყობილობები არის განსხვავებული ასაკობრივი ჯგუფებისათვის შესაბამისი; ეზოში არის განთავსებული ბალანსის აღჭურვილობა;არ არის განთავსებული საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები; სივრცე დრამატული თამაშებისთვის; სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის; საქვიშე ფუნქციური, დაწესებულებას აქვს მზისგან და წვიმისგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი''. ეზო დაყოფილია ფუნქციურ სივრცეებად: გამოყოფილია ადგილები მოძრავი თამაშებისათვის, საქვიშე (რომელსაც არ აქვს საჩრდილობელი, ქვიშის დამცავი საფარი,) სასრიალო,საქანელა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

.....

.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს: ფიზიკური გარემოს შესაბამისობა შერჩეულ კურიკულუმთან. კერძოდ: შიდა სივრცის დიზაინი: ჯგუფის ოთახების ფიზიკური სივრცის მოწყობა ცენტრებად შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად. გარე სივრცის (ეზოს) ორგანიზება: ეზოს მოწყობა უნდა განხორციელდეს შერჩეული კურიკულუმის პრინციპების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო და სათამაშო ცენტრების ორგანიზებას გარე სივრცეში.

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს 2.2.3.1 ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად საჭირო აქტივობები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები,(ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერი;) საჭირო რესურსები და შესასრულებლად გაწერილი აქვს გონივრული ვადა 24თვე. (20.05.2026 20.05.2028)

შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **ნაწილობრივ შეესაბამება.**

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: კურიკულუმი ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, რაც მოიცავს მრავალფეროვანი და მრავლგვარი რესურსების გამოყენებას, გარემოს შემოქმედებით მოწყობას და ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას.კურიკულუმი ემყარება თამაშზე დაფუძნებული მიდგომას და განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო რესურსები უნდა ემსახურებოდეს ბავშვების შემეცნებით, მოტორულ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.
ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ჯგუფური ოთახები ამ დროისათვის არ არის მოწყობილი კურიკულუმით გათვალისწინებულ სივრცეებად. ინტერვიუდან ირკვევა რომ, საგანმანათლებლო პერსონალი ფლობს ცოდნას თუ როგორ უნდა იყოს ფიზიკური გარემო,რომელიც შეესაბამება შერჩეულ კურიკულუმს.აღნიშნავენ, რომ რესურსი უნდა იყოს მრავალფეროვანი და მრავალგვარი მზა და მეორადი, რომლებსაც თემატურად გაანაწილებენ ცენტრებში ღიად და ბავშვების სიმაღლეზე. დაწესებულებაში არის დარბაზი.
ეზო არის აღჭურვილი შემდეგი რესურსით: სასრიალო სხვადასხვა ზომის, საქანელები, ბალანსის ინვენტარი, მზისგან და ქარისგან დამცავი საჩრდილობელი, ეზოს სკამები, საქვიშეები რომლებსაც არ აქვთ საჩრდილობელი და ქვიშის დამცავი საფარი. გარე სივრცეები არ არის სრულად აღჭურვილი კურიკულუმის შესაბამისი რესურსით; საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები; სივრცე დრამატული თამაშებისთვის; არ არის სკამები და მაგიდა; სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

.....
.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს: ეზოს ინვენტარითა და რესურსებით აღჭურვა შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბავშვთა მრავალმხრივი განვითარება ღია სივრცეში. ჯგუფის ოთახების სივრცეების მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად.

.....
.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს 2.2.3.2 ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად საჭირო აქტივობები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები,(ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერი;) საჭირო რესურსები და შესასრულებლად გაწერილი აქვს გონივრული ვადა 24თვე. (20.05.2026 20.05.2028);

შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **ნაწილობრივ შეესაბამება.**

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ჯგუფის ოთახები ამ დროისათვის არ არის მოწყობილი, ვიზუალური დათვალიერებით თითოეული ჯგუფის ოთახისათვის განკუთვნილი სივრცე იძლევა საშუალებას მოეწყოს ყველა საჭირო სივრცე, რასაც კურიკულუმის ფიზიკური გარემოს მოწყობა ითვალისწინებს.მცირე ასაკობრივ ჯგუფებს აქვთ საძინებლის სივრცეც, შენობას აქვს ასევე სივრცე დარბაზისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

.....

.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ჯგუფის ოთახების სივრცეების მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს 2.2.3.3 ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად საჭირო აქტივობები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები,(ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის

სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერი;) საჭირო რესურსები და შესასრულებლად გაწერილი აქვს გონივრული ვადა 24თვე. (20.05.2026 20.05.2028);
შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **ნაწილობრივ შეესაბამება.**

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 09/02/2026 წლის N№48.202604020 ბრძანებით დამტკიცებული **„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის წესი“**.
აღნიშნული წესის მე-8 მუხლის (ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდები) მიხედვით, დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, კერძოდ:

- ობიექტური დაკვირვების ჩანაწერებს;
- მოკლე კითხვარებს;
- ცხრილებს ან სხვა შეფასების ინსტრუმენტებს.

დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „დაკვირვების ფორმები მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით“. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დანართის სახით არ არის წარმოდგენილი **„ბავშვის შეფასების ფორმა“** (რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარების სფეროებს) და მას შესაბამისი ინსტრუმენტი არ ახლავს. წესის თანახმად, „ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული, უწყვეტი პროცესია“, ხოლო „ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ“. ასევე მითითებულია, რომ „ბავშვზე დაკვირვებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით“. მიუხედავად იმისა, რომ წესის დამტკიცების ბრძანების შინაარსში მითითებულია „დანართი 3“, მასში არ იკითხება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ ინფორმაცია. ასევე, დირექტორის ცალკეული ბრძანება აღნიშნული ფორმების დამტკიცებაზე ვერ იქნა მოძიებული.
პრაქტიკულ ნაწილში, საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუს დროს ადასტურებს ინფორმირებულობას და ასახელებს დაკვირვების ზემოაღნიშნულ მეთოდებს. აღმზრდელები აფიქსირებენ, რომ ობიექტური დაკვირვება, ბავშვების შესახებ ახალი, საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტების დანახვა, დოკუმენტირება (ჩაწერა) და შემდგომი ანალიზი საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის საფუძველია.
დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსებს შორის არსებობს სტანდარტის მიხედვით შემუშავებული 2-3, 3-4, 4-5 და 5-6 წლიანი ბავშვების განვითარების კითხვარები, რაც ადასტურებს მათ მზაობას შეფასების პროცესის წარმართვისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებულია**

.....

.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს: ბავშვზე დაკვირვების და შეფასების ფორმები, რომლებიც აღნიშნულია (ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ 09/02/2026 წლის №48. 202604020 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის" დანართად, დამტკიცებულ იქნას ამავე წესის შესაბამისად.

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, თუმცა გაწერილი არ აქვს 2.2.4.1 ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად საჭირო აქტივობები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები, რესურსები და შესასრულებლად გაწერილი გონივრული ვადა.

შესაბამისად ექსპერტის შეფასება არ იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ 09/02/2026 წლის №48. 202604020 ბრძანებით დამტკიცებული „**საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის წესი".** აღნიშნული წესის თანახმად, საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვის შეფასების შემდეგ მრავალფეროვან მეთოდებს: მუხლი 8 (ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდები) იკითხება: ,, დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვების და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში გ)ბავშვის საჭიროებების გამოვლენას'. აღმზრდელებთან ინტერვიუს გზით დასტურდება, რომ თითოეული ბავშვზე დაკვირვება და შეფასება ასევე ემსახურება ბავშვების ინტერესების გამოვლენას, რასაც შემდგომში გაითვალისწინებენ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველია, ბავშვზე ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები აღმზრდელებთან ერთად აწარმოონ მუსიკის მასწავლებელმა და აღმზრდელის თანაშემწეებმა.

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ 09/02/2026 წლის №48. 202604020 ბრძანებით დამტკიცებული „**საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის წესი**“. აღნიშნული წესის თანახმად, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;
ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუში ვლინდება, რომ შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია და ანალიზი გათვალისწინებული იქნება დაგეგმვის ნაწილსა და რესურსების განსაზღვრის დროს.აგრეთვე, შეფასებით მიღებული შედეგები დაეხმარება აღმზრდელებს გაანალიზონ საკუთარი პრაქტიკა, და გააუმჯობესოს იგი,მოარგონ საგანმანათლებლო პროცესი თითეულ ბავშვს. შეფასება, როგორც რეფლექსიის საფუძველი, ხელს შეუწყობს მას განსაზღვროს, რამდენად ეფექტიანად ახერხებს ბავშვების ჩართულობის, ინტერესების წახალისებისა და პროგრესის ხელშეწყობას, და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანონ ყოველდღიურ პრაქტიკაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ 09/02/2026 წლის N№48. 202604020 ბრძანებით დამტკიცებული „**საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის წესი“.** აღნიშნული წესის თანახმად: მუხლი 9 (ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა) არეგულირებს ბავშვის შეფასების პროცესში ოჯახის ჩართულობას. აღნიშნულ მუხლში ვკითხულობთ: ,,დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას, ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად''. დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს ,,ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში''-ვკითხულობთ აღნიშნული წესის მე-8 მუხლში (ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდები). საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ დაწესებულება ოჯახს განიხილავს შეფასების პროცესის მნიშვნელოვან მონაწილედ. აღმზრდელის განმარტებით, მშობელთან გასაუბრება (ბავშვის ინტერესების, ძლიერი მხარეების, თავისებურებების შესახებ) საშუალებას მისცემს მშობელს დაფიქრდეს, გაანალიზოს საკუთარი შვილის ინდივიდუალობა. აღმზრდელი აღნიშნავს, რომ ოჯახის ჩართულობა შესაძლებლობას მისცემს მას უკეთესად გაიაზროს ბავშვის გამოცდილება არა მხოლოდ ბაღის გარემოში, არამედ ოჯახურ და სოციალურ კონტექსტშიც, რაც დაეხმარება ინდივიდუალური მიდგომების შერჩევისას.

ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად, წელიწადში 2-ჯერ, დამტკიცებული წესის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“- დამტკიცებული ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ 09.02.2026 წლის ბრძანება:№48. 202604020-ით;
- ✓ დღის განრიგის 29.01.2026 წლის დამტკიცებული ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ ბრძანება:№48. 20260295;

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☒

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა **,,კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების წესი,დამტკიცებულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 09/02 2026 წლის №48. 202604019 ბრძანებით**

დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ.

კურიკულუმის შეფასებისთვის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი/კურიკულუმის შეფასებას ახორციელებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. პროცესი ეფუძნება:

ა) საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას:

ბ) ფიზიკური გარემოს შეფასებას;

გ) მშობლების უკუკავშირს;

დ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული შეფასებისათვის დაწესებულებას შექმნილი აქვს/იყენებს მზა სახის შეფასების ინსტრუმენტს/ცხრილებს/რუბრიკებს.

კურიკულუმის შეფასებისთვის სააგენტოს მენეჯერის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი (ასეთი ბრძანება ჯერ არ ასებობს). ფიზიკური გარემოს შეფასებისათვის დაწესებულება იყენებს მზა სახის შეფასების ინსტრუმენტს, ცხრილებს/ რუბრიკებს ,დაწესებულებამ წარმოადგინა ასეთი ფორმა.დოკუმენტი მოიცავს: საგანმანათლებლო გარემოს, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს,სოციალურ-ემოციურ მხარდაჭერას,,პროფესიულ დოკუმენტაციას და განვითარების,შეფასების შეჯამებს. აღნიშნული რეგულაციის არსებობა მიუთითებს, რომ დაწესებულება შემუშავებული სისტემის შესაბამისად გეგმავს კურიკულუმის შეფასების ციკლურ, სისტემატურ მოდელს, რაც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ**„კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების წესი„ - დამტკიცებულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის №48. 202604019 ბრძანებით,** რომელიც განსაზღვრავს როგორც ცვლილების საფუძვლებს, ასევე ცვლილებების განხორციელების პროცედურულ მექანიზმს . ამ წესის მუხლი 5 (კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება) არეგულირებს კურიკულუმის შეფასების საფუძველზე, გაკეთებული მიგნებების და რეკომენდაციების მიხედვით კურიკულუმში ცვლილებების შეტანის საკითხს, კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შეიძლება იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი. ამ დროისათვის წესის დამტკიცებიდან არ არის გასული შესაბამისი პერიოდი, რაც შესაძლებლობას მისცემდა დაწესებულებას განეხორციელებინათ ცვლილებები კურიკულუმში.

ინტერვიუს დროს, საგანმანათლებლო პერსონალი (აღმზრდელები, მეთოდისტი) აღნიშნავს, რომ ცვლილებები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც თემატიკის, დღის განრიგის ან აქტივობების შინაარსის დონეზე, ასევე უფრო ფართო მასშტაბით - მაგალითად, ახალი კურიკულუმის დანერგვით. პერსონალი აცნობიერებს, რომ ასეთი ცვლილებები უნდა ეფუძნებოდეს შეფასების შედეგებს, დაკვირვებებს, მშობლების უკუკავშირსა და საკუთარ პრაქტიკაზე დაფიქრებას. ისინი მზად არიან, საჭიროების შემთხვევაში, გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები და მონაწილეობა მიიღონ ცვლილებების ინიცირებასა და განხილვაში. ამ ეტაპზე კურიკულუმში ცვლილებების შეტანის გამოცდილება არ არსებობს, რადგან არ დამდგარა საჭიროება;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგული წესი"- დამტკიცებული ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ 09/02/2026 წლის №48. 202604019 ბრძანებით.
- ✓ გასაუბრების შედეგები(ინტერვიუირება);
- ✓ სოციალური გვერდი (facebook პოსტები).

შეფასება:			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა **„ოჯახთან და თემთა საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი" დამტკიცებულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ 12/02/2026წლის №48.202604320 ბრძანებით.** აღნიშნული წესი განსაზღვრავს სამიზნე აუდიტორიის შერჩევას. სამიზნე აუდიტორია შედგება შიდა და გარე აუდიტორიად, შიდა აუდიტორიას განეკუთვნება: დაწესებულებათა გაერთიანების ადმინისტრაცია, დამხმარე პერსონალი. გარე აუდიტრიას განეკუთვნება: მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სფეროში მოღვაწე კოლეგები, მუნიციპალიტეტის მერია. ამასთან არსებობს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 12/02/ 2026 წლის N **№48.202604320** ბრძანება ,,ა(ა)იპ გორის გაერთიანებული აღზრდის სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების

ქალაქ გორის N3, ქალაქ გორის N11, ქალაქ გორის N12, ქალაქ გორის N20, სოფელ ზერტის, სოფელ სკრის, სოფელ ვარიანის, სოფელ შავშვების, სოფელ ფლავის და სოფელ მეჯვრისხევის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების საკომუნიკაციო გეგმები დანართების შესაბამისად.“ დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმის ნიმუში. გეგმაში ჯერ არ არის გაწერილია მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან განსახორციელებელი დაგეგმილი აქტივობები. დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ქალაქ გორის სოფელი ვარიანის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმა, სადაც იკითხება დაგეგმილი აქტივობები მშობლებთან და თემთან.
ინტერვიუს ჩატარებისას აღმზრდელებმა, ფსიქოლოგმა, მეთოდისტმა აღნიშნეს, რომ მშობლებთან გეგმავენ გარკვეული სახის საინფორმაციო შეხვედრებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „**ოჯახთან და თემთა საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“ დამტკიცებულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგნეტოს მენეჯერის 12/02/ 2026 წლის N№48.202604320ბრძანებით.** დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ქალაქ გორის №3 სკოლამდელი

აღზრდის საჯარო დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმაში გათვალისწინებულია თემის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის წახალისების ფორმები. დაწესებულების სააღმზრდელო პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება წაახალისებს თემის მშობლების/კანონიერ წარმომადგენლებს სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობით, მეორადი რესურსის შეგროვების, ღონისძიებების ორგანიზების პროცესში, რაც დასტურდება ფოტო მასალითა და დაწესებულების ოფიციალური სოციალური გვერდის facebook პოსტებით. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუდან ჩანს რომ, აღმზრდელები იყენებენ მშობელთა წახალისების ისეთ ფორმებს როგორიცაა: მადლობის სერტიფიკატები, სიმბოლური ჯილდოები. რასაც ადასტურებენ შესაბამისი ფოტო მასალით, დამზადებული სერთიფიკატის ნიმუშით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს: შეიმუშაოს მექანიზმი ან საკომუნიკაციო წესში გაწეროს, თემის, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა წახალისების ფორმები/მექანიზმები, რასაც რეალურად ახორციელებს და უკვე აქვთ გამოყენებული პრაქტიკაში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „ოჯახთან და თემთა საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“ დამტკიცებულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგნეტოს მენეჯერის 12/02/ 2026 წლის №48.2026043 20ბრძანებით. აღნიშნული წესის მუხლი 4 ,,საკომუნიკაციო არხების შერჩევა”, არეგულირებს მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხების გამოყენებას, როგორიცაა: ა) პირისპირ შეხვედრები; ბ)ციფრული პლატფორმები: დახურული ჯგუფები (მაგ: Viber/Messenger/WhatsApp) მხოლოდ ოპერატიული საინფორმაციო შეტყობინებებისთვის.

საინფორმაციო დაფა: ბაღის შესასვლელში განთავსებული ყოველკვირეული მენიუ, დღის განრიგი და დაგეგმილი ღონისძიებები.

ინტერვიუს საფუძველზე ნათლად ჩანს რომ, შერჩეულ საკომუნიკაციო არხებს დაწესებულება გამოიყენებს ოჯახთნ და ასევე თემთან ურთიერთობისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგნეტოს მენეჯერის 12.02. 2026 წლის №ბ48.202604320 ბრძანება „ოჯახთან და თემთა საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“;
- ✓ გასაუბრების შედეგები(ინტერვიუირება);
- ✓ სოციალური გვერდი (facebook პოსტი).
- ✓ მშობელთა კუთხის ფოტოები;
- ✓ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგნეტოს მენეჯერის 12.02.2026 წლის ბრძანება:ბ48. 202604320 საკომუნიკაციო გეგმების დამტკიცების შესახებ;
- ✓ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ქალაქ გორის № 3 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმა;

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში არსებობს **ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის სოფელ ვარიანის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმა** , რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგნეტოს მენეჯერის 12.02.2026 წლის ბრძანებით: №48. 202604320, სადაც იკითხება მშობლებთან რეგულარული კომუნიკაცია მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით: ,,სახლიდან ბაღში, ტრანზიციის გამარტივების მიზნით განსახორციელებელი აქტივობების შესახებ შეხვედრა მშობლებთან"; ,,დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების, სამოქმედო გეგმის გაცნობის შესახებ შეხვედრა მშობლებთან''; ,,კურიკულუმის მიზნების, შინაარსის შესახებ მშობლებისათვის ინფორმაციის მიწოდება''. ინტერვიუს გზით დადასტურდა, რომ აღმზრდელებს აქვთ ცოდნა მშობლებს გააცნონ ბავშვთა უფლებების შესახებ. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ოქმი(N1 18.02.2026) რომელიც ადასტურებს მშობლების ცნობიერების ამაღლებას ასაკობრივი თავისებურებების და განვითარების სპეციფიკის შესახებ. მტკიცებულებად წარმოდგენილი მშობელთა შეხვედრის დასწრების ფურცლებით, ფოტომასალით დგინდება, რომ დაწესებულებაში არსებობს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთნ ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრის არაფორმალური პრაქტიკა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

.....
.....

რეკომენდაცია

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ 09/02/2026 წლის N№48. 202604020 ბრძანებით დამტკიცებული „**საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის წესი“.** აღნიშნული წესის თანახმად: მუხლი 9. მშობელთა /კანონიერი წარმომადგენელთა ინფორმირებულობას ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ განსაზღვრავს (ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა) აღნიშნული წესის შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას, ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ხორციელდება ინდივიდუალურად.დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში, ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი ოჯახის ჩართულობით.
საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუში აღნიშნავს რომ ,ბავშვის შეფასების პერიოდულობა დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია- წელიწადში ორჯერ და შესაბამისად მშობლებისთვის ბავშვის შეფასების შედეგების გაცნობა უნდა განხორციელდეს იმავე პერიოდულობით. ადგილზე ვიზიტისას, მეთოდისტთან და აღმზრდელთან გასაუბრებით გამოვლინდა პერსონალის მზაობა და კომპეტენცია ბავშვის განვითარების შეფასების მიმართულებით. დაწესებულებაში დოკუმენტურად განსაზღვრულია მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრებისა და ბავშვის შეფასების შედეგების გაცნობის პერიოდულობა, რაც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროცესში მშობელთა აქტიურ ჩართულობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ოჯახთან და თემთან საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი დამტკიცებული ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგნეტოს მენეჯერის 2026 წლის N№48.202604320 ბრძანებით. აღნიშნული წესის მე-6 მუხლიდან ჩანს, რომ ბაღი თანამშრომლობს გარე აქტორებთან შემდეგი მიმართულებით:

• საგანმანათლებლო ვიზიტები: თანამშრომლობა ადგილობრივ ბიბლიოთეკებთან, პარკებთან და სახელოსნოებთან.
• სპეციალისტების მოწვევა: თემის წარმომადგენლების (ექიმი, მეხანძრე, ხელოვანი) ვიზიტი ბაღში პროფესიების გაცნობის მიზნით.
• სოციალური პასუხისმგებლობა: მონაწილეობა ადგილობრივ გამწვანების ან საქველმოქმედო აქციებში და სხვა.

დაწესებულების მენეჯერთან, მეთოდისტთან ინტერვიუს გზით დადასტურდა, რომ გააზრებული აქვთ გამოიყენონ თემის რესურსი კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად. თუმცა ვერ იქნა მოძიებული დოკუმენტი/ჩანაწერი, რომელიც თემის რესურსის გამოყენებას დაადასტურებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული**

.....

.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ უზრუნველყოს: საკომუნიკაციო გეგმაში იმ აქტივობების ასახვა და განხორციელება, რომლებიც კურიკულუმის ფარგლებში თემში არსებული რესურსების გამოყენებას ითვალისწინებს.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს 3.2.1.3 ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად საჭირო აქტივობები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები,(ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერი;) საჭირო რესურსები და შესასრულებლად გაწერილი აქვს გონივრული ვადა 4 თვე. (20.05.2026 20.09.2026);

შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის მიერ 09/02/2026 წლის №48. 202604020 ბრძანებით დამტკიცებული **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის წესი“.** აღნიშნული წესის თანახმად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს (მუხლი. 7) გათვალისწინებული უკუკავშირის მიღების არხები, მაგ. ღია კარის პოლიტიკა- მშობლებს აქვთ შესაძლებლობა,წინასწარი შეთანხმებით შეხვდნენ ადმინისტრაციას,ასევე წინადადებებისა და საჩივრების ყუთი,ელექტრონული ფორმა,პერიოდული გამოკითხვები. დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარი სახელწოდებით ,,მშობელთა კმაყოფილების კითხვარი'', ასევე ბაღის შესასვლელში არის განთავსებული ანონიმური ყუთი. ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ დაწესებულება გეგმავს განახორციელოს ცვლილებები მშობელთა უკუკავშირისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგნეტოს მენეჯერის 2026 წლის №48.202604320 ბრძანებით დამტკიცებული „ოჯახთან და თემთა საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“;
- ✓ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის სოფელ ვარიანის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმა;
- ✓ მშობელთა კმაყოფილების კითხვარი;
- ✓ ფოტო და ვიდეო მასალა;
- ✓ გასაუბრების შედეგები.

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის პროცესები გაწერილია „პერსონალის მართვის მარეგილირებელი დოკუმენტში“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის №48. 202603522 ბრძანებით, ასევე წარმოდგენილია ორგანიზაციული მოწყობის სტრუქტურული ორგანოგრამა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე არსებული ვითარების, ასევე გასაუბრების გათვალისწინებით იკვეთება, რომ დაწესებულება დაკომპლექტებულია შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე პერსონალით, რაც უზრუნველყოფს ბაღის მდგრად ფუნქციონირებას. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულება ფუნქციონირებს, როგორც გაერთიანების სტრუქტურული ერთეული და საქმიანობას ახორციელებს განსაზღვრული სტრუქტურისა და პასუხისმგებლობების შესაბამისად. დაწესებულებაში ამ ეტაპზე სულ 1 ჯგუფია, ჯგუფში ბავშვების რაოდენობის გათვალისწინებით თითოეულ ჯგუფს ყავს ორი აღმზრდელი, ერთი აღმზრდელის თანაშემწე . გარდა რაოდენობრივი უზრუნველყოფისა, პერსონალი ანგარიშს უწევს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობისა და თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნისთვის მნიშვნელოვანია. ორგანიზაციული მოწყობა და ფუნქციური განაწილება ქმნის წინაპირობას, რომ დაწესებულების მიზნები იყოს რეალიზებული.
თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება 75 აღსაზრდელის მიღების უფლებას ითხოვს. ამ ეტაპზე დაწესებულება ფუნქციონირებს ძველ შენობაში და პერსონალი გათვლილია მხოლოდ ერთი ჯგუფის საჭიროებებზე. შესაბამისად, ახალ შენობაში გადასვლისა ჯგუფების გაფართოების შემთხვევაში, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი რაოდენობის კვალიფიციური აღმზრდელებისა და მათი თანაშემწეების დასაქმება, რათა სრულად დაკმაყოფილდეს 75 ბავშვისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული სააღმზრდელო სტანდარტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული;**
.....
.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ უზრუნველყოს: ახალ შენობაში სააღმზრდელო პროცესის დაწყებამდე, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ადამიანური რესურსის სრულფასოვანი დაკომპლექტება საჭიროა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აღმზრდელებისა და მათი თანაშემწეების მოზიდვა ისეთი რაოდენობით, რომელიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ სააღმზრდელო სტანდარტებს, რაც გადამწყვეტია საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად და ხარისხიანად წარმართვისთვის

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით, რომელიც სრულად პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. გეგმის მიხედვით, ინდიკატორის 4.1.1.1.-ის-ისმოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებ უზრუნველყოფს: ახალ

შენობაში სააღმზრდელო პროცესის დაწყებამდე, დაწესებულება უზრუნველყოს ადამიანური რესურსის სრულფასოვან დაკომპლექტებას საჭიროა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აღმზრდელებისა და მათი თანაშემწეების მოზიდვა ისეთი რაოდენობით, რომელიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ სააღმზრდელო სტანდარტებს, რაც გადამწყვეტია საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად და ხარისხიანად წარმართვისთვის; აღნიშნული გეგმის ხარისხიანად შესასრულებლად განსაზღვრულია პასუხისმგებელ პირი (სააგენტოს მენეჯერი) და საჭირო ადამიანური რესურსი (კადრების სპეციალისტი, დაწესებულების დირექტორი); ხარვეზის აღმოფხვრის ვადად გაწერილია 12-თვე (20.05.2026-20.05.2027);

შესაბამისად იცვლება ექსპერტთა შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**
.....
.....

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტები: „პერსონალის მართვის მარეგილირებელი დოკუმენტი“ დამტკიცებული ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის №48. 202603522 ბრძანებით, ორგანოგრამა, „შინაგანაწესი“, და საშტატო ნუსხა;

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესი ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ იერარქიულ სტრუქტურასა და ფუნქციურ განაწილებას, რაც სრულად რეგულირდება „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით“. აღნიშნული დოკუმენტის მე-7 მუხლის შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას, რაც მიიღწევა ყველა პოზიციისთვის ინდივიდუალური სამუშაო აღწერილობის შემუშავებით. აღსანიშნავია, რომ ეს სამუშაო აღწერილობები, რომლებიც დამტკიცებულია წესის შესაბამისი დანართით, მოიცავს ყველა საკვანძო კომპონენტს: პოზიციის დასახელებასა და სტრუქტურულ ერთეულს, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შესასრულებელ დავალებებსა და პასუხისმგებლობის სფეროებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანგარიშვალდებულების სისტემასა;

დოკუმენტი ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის, რაც უზრუნველყოფს მათ ინფორმირებულობას საკუთარი როლისა და ამოცანების შესახებ. ამასთან, დაწესებულებაში მოქმედებს სამუშაო აღწერილობების პერიოდული გადახედვის პრაქტიკა, რაც საშუალებას იძლევა, დოკუმენტაცია მუდმივად შეესაბამებოდეს მიმდინარე ცვლილებებსა და რეალურ სამუშაო გარემოს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პერსონალთან გასაუბრებისა და ინტერვიუირების პროცესში დასტურდება, რომ თანამშრომლები ნამდვილად იცნობენ თავიანთ სამუშაო აღწერილობებს, მკაფიოდ აცნობიერებენ დაკისრებულ მოვალეობებს და მათ საქმიანობაში პრაქტიკულად ხელმძღვანელობენ აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული პრინციპებით.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (მუხლი 18. საკონსულტაციო საბჭო), საჯარო დაწესებულებებისთვის სავალდებულოდ დადგენილია, რომ დაწესებულებას უნდა ჰყავდეს საკონსულტაციო საბჭო. ამ ეტაპზე დაწესებულებას ჰყავს საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შედეგბა 7 წევრისგან: 5 მშობელი და ორი აღმზრდელი. აღნიშნული საბჭოს არსებობის დამადასტურებელ დოკუმეტად ადგილზე წარმოადგინეს 2025 წლის 08 ოქტომბრის ოქმი № 1; 2026 წლის ოქმი № 3-ის სახით ;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებული**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის დინამიკურობა, სადაც ფორმალური შეკრებების ნაცვლად აქცენტი გაკეთდება ოპერატიულ კომუნიკაციაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მშობელთა რეალურ ჩართულობასა და საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების პრაქტიკულ აღსრულებაზე, რაც მართვის პროცესს უფრო გამჭვირვალესა და მოქნილს გახდის;

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, ძირითად შემთხვევაში, შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებს, კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის №27 და №28 დადგენილებებს. ადმინისტრაციულ და პედაგოგიურ პერსონალს გააჩნია პოზიციების შესაბამისი განათლება და პროფესიული გამოცდილება, ხოლო საგანმანათლებლო პერსონალის უმრავლესობას წარმატებით აქვს გავლილი აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების 66-კრედიტიანი ტრენინგ-მოდული, რაც დასტურდება პერსონალის პირად საქმეებში დაცული სერტიფიკატებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებული;**

რეკომენდაცია

.....

.....

.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვთან მომუშავე საგნამანათლებლო პერსონალს არ აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია, თუმცა აღნიშნული ხარვეზის შესახებ ასახულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში და შესრულების ვადად განსაზღვრულია 4 თვე - მეტწილი შესაბამისობა. შესაბამისობის გეგმაში იდენტიფიცირებულია შეუსაბამობის აღწერა, განსაზღვრულია დაწყების და დასრულების დრო (18.02.2026 - 18.06.2026), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა /აქტივობები - კონკრეტული ქმედება, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებისკენ, კერძოდ: სააგენტოს მიერ ტრენინგის შესყიდვა და ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიმართულებით გადამზადება, განსაზღვრული ყავს პასუხისმგებელი პირები (ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერი; სოფ. ვარიანის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების დირექტორი) და საჭირო რესურსი (სააგენტოს ადამიანური და ფინანსური რესურსი).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

.....

.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს: დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულება მითითებულ ვადებში, რათა უზრუნველყოს, რომ ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალმა დაადასტუროს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია.

.....
.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს: საგანმანათლებლო პერსონალის თითოეული წევრისთვის ყოველწლიურად განაახლოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციები შესაბამისი სწავლებით, სიმულირებით, ტრენინგებით და სხვა;

.....
.....
.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ და „შინაგანაწესი“;

„პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ დამტკიცებულია ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 02 ივლისის №105 ბრძანებით. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი შესაბამისია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. კერძოდ: დოკუმენტში (მუხლი 4.) გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტი ციკლი ერთმანეთთან მონაცვლე ოთხი მიმართულებთ:

1)ორგანიზება/დაგეგმვა- აერთიანებს ორგანიზაციული განვითარების. საკადრო პოლიტიკის შემუშავებისა და თანამშრომელთათვის პერსონალის სამუშაო აღწერილობის შემუშავება/განახლების პროცესებს;

2)ორგანიზაციაში შესვლას- აერთიანებს კადრების მოზიდვის, სერჩევის და ორგანიზაციაში ინტეგრაციის პროცესებს;

3) სამუშაოს მართვა-აერთიანებს შესრულებული სამუშაოს შეფასების, პროფესიული განვითარების, დისციპლინარული სასჯელის და წახალისების პროცესებს;

4) ორგანიზაციიდან გასვლა- აერთიანებს ხელშეკრულების შეწყვეტის პროცესებს;

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესებთან დაკავშირებული გარკვეული საკითხები რეგულირდება ასევე „შინაგანაწესით“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 2022 წლის 01 მარტის N332 ბრძანებით, მაგ: წახალისების წესი, შრომის ანაზღაურების წესი, საავადმყოფო ფურცლის გამოყენების პირობები და წესი, პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის და სხვა;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია გაერთიანების მასშტაბით ბრძანებების ერთიანი შაბლონის დანერგვა, რათა ყველა ადმინისტრაციულ აქტს გააჩნდეს ერთიანი სტრუქტურა და სავალდებულო რეკვიზიტები, მაგალითად: ზუსტი თარიღი და თანმიმდევრული საქმისწარმოების ნომერი. ეს ხელს შეუწყობს დოკუმენტების სისტემურ აღრიცხვას და საქმისწარმოების პროცესის გამჭვირვალობას;

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს, კერძოდ ბაღების გაერთიანების მენეჯერს, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები საგანმანათლებლო პერსონალთან. გაფორმებული ხელშეკრულებები **არ მოიცავს** სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან **საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს,** შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებები არ მოიცავს საკონტაქო და არასაკონტაქტო საათების

ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობების ჩამონათვალს; აღნიშნული ხარვეზის შესახებ გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში - 5 თვე (18.02.2026-18.07.2026) მეტწილი შესაბამისობა, გამოყოფილი ყავს პასუხისმგებელი პირო (სააგენტოს მენეჯერი) და საჭირო ადამიანური რესურსი;

დაწესებულების „შინაგანაწესში“ განსაზღვრულია სამუშაო დროის ხანგრძლივობა და ანაზღაურებადი და ანაზრაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

.....

.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს: შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები საჭიროებს დაზუსტებას, რათა სრულად შეესაბამებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, ხელშეკრულებებში დეტალურად უნდა გაიწეროს სამუშაო დროის განაწილება, რომელიც მოიცავს როგორც ჯგუფთან უშუალო ურთიერთობისთვის საჭირო **საკონტაქტო საათებს**, ისე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვისა და მომზადებისთვის განკუთვნილ **არასაკონტაქტო საათებს**. ასევე რეკომენდირებულია თითოეული კატეგორიის ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული საქმიანობების მკაფიო განსაზღვრა.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევის პროცესი რეგულირდება ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის 02 თებერვლის №ბ48. 202603522 ბრძანებით დამტკიცებული **„პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით“**

(მუხლი 8). დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა ეფუძნება ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებს, რაც მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკებს. შერჩევის პროცესში გამოყენებული მეთოდები და კრიტერიუმები ნათლად არის ფორმულირებული და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის, რაც უზრუნველყოფს პროცესის სანდოობას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვაკანტური პოზიციის შესახებ განაცხადი იქმნება უშუალოდ შესაბამისი სამუშაო აღწერილობის საფუძველზე, რაც ხელს უწყობს საჭირო კვალიფიკაციის მქონე კადრების მიზნობრივ მოზიდვას. დამატებით, პროცესის კიდევ უფრო მეტი გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველსაყოფად, სააგენტო მუშაობს სპეციალური პლატფორმის (ვებ-გვერდის) შექმნაზე, სადაც ცენტრალიზებულად განთავსდება ინფორმაცია ყველა მიმდინარე ვაკანსიის შესახებ. აღნიშნული აქტივობა მიუთითებს დაწესებულების სწრაფვაზე, მუდმივად გააუმჯობესოს ადამიანური რესურსების მართვისა და კადრების შერჩევის ადმინისტრირების ხარისხი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს: ახალი კადრის დასაქმების შემთხვევაში გაწეროს „ პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში“ ღია კონკურსის წესის პროცედურები, რათა უზრუნველყოს პროცესის ობიექტურობა და გამჭვირვალობა.

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას, რაც დასტურდება გასაუბრებით და გაერთიანების მიერ დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით“. დოკუმენტში შემუშავებული და გაწერილია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმები (მუხლი 12. ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია), კერძოდ:

ა) ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა;
ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან;
გ) ტრენინგების / სასწავლო კურსების უზრუნველყოფა;
დ) მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა;
ე) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა;
ვ) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთოხების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება;
ზ) უკუკავშირის კულტურის გაძლიერება.

აღნიშნული დოკუმენტისა და გასაუბრების თანახმად, დაწესებულების ადმინისტრაცია ახორციელებს ახალი თანამშრომლის პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთოხების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ინფორმირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედებს ორგანიზაციული კულტურა. როგორც ინტერვიუებით დადგინდა, დაწესებულება ფუნქციონირებს გუნდურობისა და თანამშრომლობის პრინციპებზე დაფუძნებით. თანამშრომლებს ერთ გუნდად აქცევს საერთო მიზანი, საერთო მისია. ამის დადასტურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ პროექტებისა თუ ღონისძიებების დაგეგმვისას დაწესებულების კოლექტივი ამჟღავნებს ერთსულოვნებასა და თანაბარ ჩართულობას. მაგალითად: დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან, რაც დასტურდება იმით, რომ: მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ, რაც გულისხმობს მის გაზიარებას ჯგუფის წევრებს შორის. ასევე გასაუბრების შედეგად დადსტურდა, რომ დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულება გაზაირებული იქნა ბაღის პერსონალთან და მშობლებთან, კერძოდ გაიმართა შეხვედრები, მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ასევე გასაუბრებისას აღმზრდელებმა აღნიშნეს, რომ ყოველი ახალი ტრენინგის გავლის შემდეგ უზიარებენ კოლეგებს მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას, რაც ეხმარებათ სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში“ მკაფიოდ აქვს გაწერილი პერსონალის საქმიანობის შეფასება (თავი IV. შესრულებული სამუშაოს მართვა, მუხლი 13. შესრულებული სამუშაოს შეფასება). შეფასების სისტემა შესაძლებელია ითვალისინებდეს შემდეგი ასპექტების შეფასებას: უნარები, დაკისრებული ფუნქციების შეფასების ხარისხი, რესურსები და ინსტრუმენტები, კარიერული განვითარება და სხვა. დოკუმეტში ასევე მკაფიოდაა გაწერილი შეფასების მეთოდები, კერძოდ: კითხვარი, შეფასება უშუალოდ ხელმძღვანელის მიერ, თვითშეფასება და გასაუბრება. ასევე შეფასების/საჭიროების მოკვლევის პროცესის ძირითადი ეტაპებია: დაგეგმვა, შეფასების/საჭიროებათა კვლევის განხორციელება და შედეგების ანალიზი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპისთვის პერსონალის საქმიანობის შეფასება ჯერ არ განხორციელებულა;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის განვითარება დაგეგმილია წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიული ზრდის თანმიმდევრულ პროცესს. დაწესებულების მართვის სისტემაში ინტეგრირებულია პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირების მექანიზმები, რაც საშუალებას იძლევა, განვითარების ღონისძიებები დაიგეგმოს მიზნობრივად, არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების ანალიზის საფუძველზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ დაწესებულება სისტემატურად ზრუნავს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. პერსონალის პირად საქმეებში არსებული სერტიფიკატები, ტრენინგებისა და სემინარების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტები ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ პერსონალის განვითარების დაგეგმილი ღონისძიებები

პრაქტიკულად ხორციელდება. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პედაგოგიური თუ დამხმარე პერსონალის კომპეტენციების მუდმივ განახლებას, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ აისახება საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის ხარისხზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებული;**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ პერსონალის განვითარების გეგმის ფორმალური შემუშავება და დამტკიცება, რომელიც ეფუძნება პერსონალის პროფესიულ საჭიროებებს, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს პროცესის სისტემურობას და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს შემუშავებული პერსონალის განვითარების გეგმა, გაერთიანება პერიოდულად მაინც ახორციელებს ბაღში პერსონალის განვითარებას. აღმზრდელებმა გაირეს 66 საათიანი ტრენინგი. პერიოდულად დაწესებულებას აქვს შემოთავაზება საგანმანათლებლო სფეროში მომუშავე ორგანიზაციებიდან, რომლებიც ატარებენ სხვადასხვა შინაარსის ტერნინგებსა და სწავლებებს. სტატუსის მაძიებელი ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების არსებობა დადასტურებულია გავლილი ტრენინგების („თანამედროვე მიდგომები სასკოლო განათლებაში“, „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მეტოდოლოგია და რეფერირება“, „სკოლამდელი ბავშვების აღზრდის პრაქტიკის კურსი“, „ინკლუზიური განათლება“ და სხვა) სერტიფიკატებით, რომლებიც ინახება პერსონალის პირად საქმეებში, ასევე აღნიშნული დასტურდება პესონალთან გასაუბრების შედეგად;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ დაწესებულების სტრუქტურა/ორგანოგრამა;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის 02 თებერვლის №ბ48. 202603522 ბრძანებით დამტკიცებული **„პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“;**
- ✓ შრომითი ხელშეკრულებები;
- ✓ 2025წლის 23 ივლისის სახელმწიფო შეწყვიდების ხელშეკრულება № 107/07
- ✓ „შინაგანაწესი“- დამტკიცებული ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების სააგენტოს მენეჯერის 2022 წლის 01 მარტის №332 ბრძანებით;
- ✓ საშტატო ნუსხა;
- ✓ სერტიფიკატები;
- ✓ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული მასალები/აქტივობები;
- ✓ გასაუბრების შედეგები;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ფუნქციონირება და ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის 12 თებერვლის №ბ48.202604321 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტს **„პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა“**. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მეთოდოლოგიურ საფუძველს, სადაც მკაფიოდ არის იერარქიზებული და დიფერენცირებული დაწესებულების საქმიანობის ყველა ასპექტი.

დოკუმენტის მე-4 მუხლის შესაბამისად, დაწესებულებაში პროცესები დაყოფილია სამ ძირითად ჯგუფად:

1. **მმართველობითი პროცესები:** მოიცავს სტრატეგიულ დაგეგმარებასა და ხარისხის უზრუნველყოფას, რაც განსაზღვრავს ბაღის განვითარების გრძელვადიან ხედვასა და თვითშეფასების მექანიზმებს.
2. **ძირითადი პროცესები:** ეს ნაწილი უშუალოდ უკავშირდება საგანმანათლებლო საქმიანობას. მასში ინტეგრირებულია კურიკულუმის შერჩევა, შემუშავება, პრაქტიკული განხორციელება და მუდმივი განვითარება. ასევე, მოიცავს ბავშვთა ნაკადების მართვას (რეგისტრაცია/ჩარიცხვა), სსსმ ბავშვების მომსახურებასა და ოჯახთან თუ თემთან აქტიურ კომუნიკაციას.
3. **დამხმარე პროცესები:** აღნიშნული კომპონენტი უზრუნველყოფს სააღმზრდელო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის გზით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უსაფრთხოებას (ფიზიკურ და ემოციურ გარემოს), სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს, ბავშვთა კვების ორგანიზებასა და გამართულ საქმისწარმოებას.

წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში იდენტიფიცირებულია ყველა ის კრიტიკული წერტილი, რომელიც გავლენას ახდენს მომსახურების ხარისხზე. პროცესების ასეთი დეტალური აღწერა ხელს უწყობს ფუნქციების მკაფიო განაწილებას და უზრუნველყოფს ხარისხის მართვის ციკლის ეფექტურ მუშაობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....
.

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს მართვის საერთაშორისოდ აღიარებული **დემინგის „PDCA" (Plan-Do-Check-Act)** ციკლის პრინციპზე დაყრდნობით, რაც რეგულირდება ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის 12 თებერვლის №ბ48.202604321 ბრძანებით (მუხლი 5). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის არა ეპიზოდურ, არამედ სისტემურ და უწყვეტ გაუმჯობესებას.ხარისხის მართვის პროცესი სტრუქტურირებულია შემდეგი ეტაპების მიხედვით:

- **დაგეგმვა (Plan):** ხარისხის განვითარების საწყის ეტაპზე ხდება სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრა, რესურსების იდენტიფიცირება და კონკრეტული ღონისძიებების ვადების დაწესება. ამ საფეხურზე ყალიბდება მოლოდინები და ის ინდიკატორები, რომლებითაც შემდგომში უნდა შეფასდეს მიღწეული შედეგები.
- **განხორციელება (Do):** მეორე ფაზა მოიცავს დაგეგმილი აქტივობებისა და საგანმანათლებლო პროცესების პრაქტიკულ რეალიზაციას წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.
- **შეფასება და ანალიზი (Check):** ციკლის მესამე ეტაპი ეთმობა შესრულებული სამუშაოს სიღრმისეულ მონიტორინგს. აქ ხდება მიღწეული შედეგების შედარება დაგეგმილ მიზნებთან, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და იმ მიზეზების ანალიზი, რომლებმაც შესაძლოა ხარვეზები გამოიწვია (იქნება ეს დაგეგმვის ხარვეზი თუ შესრულების ფაზაში წარმოქმნილი გამოწვევა).

- **რეაგირება და გაუმჯობესება (Act):** დასკვნით ეტაპზე, მიღებული ანალიზის საფუძველზე, მუშავდება რეკომენდაციები და ხორციელდება საჭირო კორექტირება. ეს გულისხმობს მარეგულირებელი დოკუმენტებისა თუ შეფასების ინსტრუმენტების განახლებას, რაც საფუძველს უყრის ხარისხის განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლას.

თვითშეფასების ეს „უწყვეტი სპირალი“ დაწესებულებას აძლევს შესაძლებლობას, მოახდინოს მიღწევების კონსერვაცია და პარალელურად, მუდმივად იმუშაოს სუსტი მხარეების ტრანსფორმაციაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტურად დადასტურდა დაწესებულების მიერ აღნიშნული ციკლის პრაქტიკული გამოყენება თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში, რაც მიუთითებს ხარისხის მართვის გააზრებულ და არა ფორმალურ მიდგომაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“ დამტკიცებულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის №ბ48. 20260343 ბრძანებით. დოკუმენტში გაწერილია დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა - ამორიცხვის პრინციპები, დაწესებულებაში ჩარიცხვა-ამორიცხვის პერიოდულობა და ვადები, ბავშვის გადაყვანის და ბავშვის ამორიცხვის წესი. დოკუმეტში მკაფიოდაა გაწერილი დოკუმეტების ჩამონათვალი, რომლის საფუძველზეც მოხდება ბავშვის ჩარიცხვა, კერძოდ:

ა) დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ჯანმრთელობის ცნობა;
გ) ბავშვის 2 ფოტოსურათი 3x4;
დ) მშობლის (მშობლების) პირადობის მოწმობის ასლი;
ე) საჭიროების შემთხვევაში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაცია;
ვ) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა/რეკომენდაცია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ან/და შემდგომი ასაკობრივი განვითარებისთვის 6 წელზე ზევით სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების მომსახურებით სარგებლობის საჭიროების შესახებ.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ „ბავშვების ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“-ის თანახმად მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და დაწესებულებას შორის ფორმდება წერილობითი ხელშეკრულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებული;**
.....
.....

რეკომენდაცია
.....
.....

რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულება პერსონალის პირად საქმეებს აწარმოებს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის”, ხოლო ბავშვთა პირად საქმეებს „ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში“ (მუხლი 22. თანამშრომელთა პირადი საქმეები) გაწერილია პერსონალის მიერ წარსადგენი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რაც უნდა ინახებოდეს თითოეული თანამშრომლის პირად საქმეში. კერძოდ:
ა) სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი;

ბ) რეზიუმე;
გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი:
დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ე) ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;
ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები;
ზ) შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები;
თ) კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები);
ი) შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი.

საგულისხმოა, რომ „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქრთველოს კანონის თანახმად (მუხლი 181. - დაწესებულების პერსონალისთვის დადგენილი შეზღუდვა) დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა“. ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას დოკუმეტში „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (მუხლი 17. პერსონალის კვალიფიკაცია, პუნქტი 2) გაწერილი აქვს, რომ დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა“

აღნიშნული ცნობები უნდა იყოს ყველა თანამშრომლის პირადი საქმის შემადგენელი ნაწილი, რაც არ იყო წარმოდგენილი. ასევე პერსონალის პირად საქმეებში არაა „შინაგანაწესის“ გაცნობის ხელწერილი, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა ერთიანი სია პერსონალის ხელმოწერებით დაწესებულების „შინაგანაწესის“ გაცნობის შესახებ; ასევე უნდა აღინიშნოს, დაწესებულებაში არსებული პირად საქმეები სრულყოფილად არ მოიცავს სააგენტოს მიერ დადგენილი წესით გათვალისწინებულ ყველა აუცილებელ დოკუმენტს. პარალელურად, გამოიკვეთა რიგი დოკუმენტების ვადაგასულობის პრობლემა, მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობების შემთხვევაში. ასევე, საჭიროა პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების განახლება;

რაც შეეხება ბავშვების პირად საქმეებს, რომელსაც არეგულირებს „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“ დამტკიცებული ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის №ბ48. 20260343 ბრძანებით, სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალი გაწერილია (მუხლი 4. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა), კერძოდ:
ა) დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ჯანმრთელობის ცნობა;
გ) ბავშვის 2 ფოტოსურათი 3x4;
დ) მშობლის (მშობლების) პირადობის მოწმობის ასლი;
ე) საჭიროების შემთხვევაში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაცია;
ვ) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა/რეკომენდაცია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ან/და შემდგომი ასაკობრივი განვითარებისთვის 6 წელზე ზევით სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების მომსახურებით სარგებლობის საჭიროების შესახებ.

მარეგულირებელ წესში (მუხლი 4.) ასევე გარკვევით წერია, რომ: „დაინტერესებული პირის მიერ, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენისთანავე, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერი გამოსცემს ბრძანებას ბავშვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებაში ჩარიცხვის თაობაზე და აღსაზრდელის მშობელთან აფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას.“ ორივე შემთხვევაში (ბავშვებისა და პერსონალის) დაწესებულება აწარმოებს პირად საქმეებს, თუმცა არ აქვს შემუშავებული პირადი საქმეების წარმოების წესი;

პერსონალის პირადი საქმეებისა და შრომითი ხელშეკრულებების შესწავლისას გამოიკვეთა შეუსაბამობა დასაქმებულთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრის ნაწილში. კერძოდ, ხელშეკრულებებში გაწერილი პირობები თანხვედრაში არ არის დაწესებულების მიერ დამტკიცებულ „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის“ №1 დანართთან, რომელიც პოზიციების მიხედვით განსაზღვრავს თანამშრომელთა ფუნქციურ მოვალეობებს. მაგალითად: დაწესებულების შიდა დებულებით განსაზღვრულია, რომ კვების ბლოკში დასაქმებული პერსონალი (მზარეული და მზარეულის თანაშემწე) ვალდებულია წელიწადში ერთხელ გაიაროს სამედიცინო შემოწმება და წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა ბაქტერიომატარებლობაზე, პარაზიტოლოგიურ კვლევასა (ჭიის კვერცხზე) და კანის დაავადებებზე. მიუხედავად ამ ჩანაწერისა, მზარეულისა და მზარეულის თანაშემწის პირად საქმეებში მსგავსი ტიპის სამედიცინო მტკიცებულებები ვერ იქნა ნანახი. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ხელშეკრულებებსა და შიდა რეგულაციებს შორის არსებული აცდენა აფერხებს დაწესებულების მიერ აღებული ვალდებულებების პრაქტიკულ შესრულებას, რაც პირდაპირ კავშირშია სააღმზრდელო პროცესის უსაფრთხოებასთან. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების თითქმის ყველა პერსონალსა და სააგენტოს შორის, დადებულია უვადო ხელშეკრულება (შესაბამისი შეთანხმებებით) ხოლო მზარეულთან, მზარეულის თანაშემწესთან, დამლაგებელთან და პერსონალურ ასისტენტთან შრომითი ხელშეკრულება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის დადებულია ერთი თვით, ზედიზედ ყოველი ახალი თვის დასაწყისში. აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულებაში შრომითი ხელშეკრულებების განახლება და გაგრძელება ხორციელდება პერიოდულად, მოკლევადიანი ვადით. ასეთი პრაქტიკა კი შესაძლოა გარკვეულწილად ზღუდავდეს პერსონალის პროფესიულ სტაბილურობას და გრძელვადიან მოტივაციას. ეს შეიძლება გავლენას ახდენდეს სამუშაო გარემოს მდგრადობაზე, რადგან მუდმივი განახლების რეჟიმი ქმნის გაურკვევლობის რისკს თანამშრომლებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს: მოიყვანოს წესრიგში პერსონალისა პირადი საქმეების წარმოების პროცესის სრული შესაბამისობა კანონმდებლობითა და მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. კერძოდ: შეიმუშაოს და დაამტკიცოს „პირადი საქმეების წარმოების წესი“, სადაც დეტალურად განისაზღვრება სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, მათი წარმოდგენისა და განახლების ვადები, ასევე პასუხისმგებელი პირი/პირები; უზრუნველყოს, რომ პერსონალის ყველა პირადი საქმე შეიცავდეს კანონმდებლობით მოთხოვნილ დოკუმენტებს; ასევე დაწესებულებამ უზრუნველყოს შრომით ხელშეკრულებებში ასახული უფლება-მოვალეობების სრული თანხვედრა შიდა მარეგულირებელ წესებთან და სამუშაო აღწერილობებთან.

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს: ბაღების გაერთიანებამ ყველა პერსონალთან შრომითი ურთიერთობები გახადოს გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს თანამშრომლების პროფესიული სტაბილურობა, მოტივაცია და სააღმზრდელო პროცესის უწყვეტობის ხარისხი.

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით, რომელიც სრულად პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად დაწესებულება ეტაპობრივად განახორციელებს პერსონალის პირადი საქმეების არსებული მდგომარეობის შეფასებას, დანაკლისის დადგენასა და მათ სრულ შევსებას. ამასთანავე, შემუშავდება და დამტკიცდება „პირადი საქმეების წარმოების წესი“, სადაც დეტალურად განისაზღვრება სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, მათი წარმოდგენისა და განახლების ვადები, აგრეთვე პასუხისმგებელი პირები. დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს შრომით ხელშეკრულებებში ასახული უფლება-მოვალეობების სრულ თანხვედრას შიდა მარეგულირებელ წესებთან და სამუშაო აღწერილობებთან. აღნიშნული გეგმის ხარისხიანად შესასრულებლად განსაზღვრულია შესაბამისი ადამიანური რესურსი სააგენტოს მენეჯერის, კადრების სპეციალისტის და იურისტის სახით, ხოლო პროცესის დასასრულებლად გაწერილია გონივრული ვადა 18.02.2026 წლიდან 18.07.2026 წლამდე (5 თვე).

შესაბამისად იცვლება ექსპერტთა შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 12/02/2026 ბრძანება: №48. 202604321"პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის" შესახებ;
- ✓ „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა“
- ✓ „ ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი “ დამტკიცებული ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის
- ✓ სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის №№48. 20260343 ბრძანებით;
- ✓ აღსაზრდელის პირადი საქმეები;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ გასაუბრების შედეგები;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:			
4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამებ.ა ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:
4.3 მატერიალური რესურსი

შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☒

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცესი ორგანიზებულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის №ბ48.20260408 ბრძანებით დამტკიცებული „პირველადი სამედიცინო დახმარების წესის“ შესაბამისად. სააღმზრდელო პროცესის განმავლობაში ბავშვთა ჯანმრთელობის მუდმივ მონიტორინგსა და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს კვალიფიციური მედდა. მიუხედავად გამართული სამედიცინო მომსახურებისა, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის კომპონენტში გამოიკვეთა გარკვეული შეუსაბამობები. დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა გაწერილი აქვთ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში -10 თვე (მეტწილი); შესაბამისობის გეგმაში იდენტიფიცირებულია შეუსაბამობის აღწერა, განსაზღვრულია დაწყების და დასრულების დრო (18.02.2026- 18.12.2026), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა /აქტივობები - კონკრეტული ქმედება, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებისკენ, კერძოდ: **უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მიღება ხელშეკრულების საფუძველზე,** განსაზღვრული ყავს პასუხისმგებელი პირები (სააგენტოს მენეჯერი და ბაღის დირექტორი) და საჭირო რესურსი (გაერთიანების ადამიანური რესურსი);

დაწესებულებაში განთავსებულია სამედიცინო ოთახი, თუმცა იგი არ არის აღჭურვილია სტანდარტით გათვალისწინებული აღჭურვილობით. ბაღში მომუშავე ექთანს, ასვე ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს არ აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - სერტიფიკატი. თუმცა დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა - 4 თვე მეტწილი(18.02 2026 -18.06.2026); დაწესებულება აწარმოებს სამედიცინო შემთხვევების აღიცხვის ჟურნალს. სამედიცინო პერსონალს გაწერილი ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით არ აქვს მედიკამენტური ჩარევის უფლება. მას აქვს პასუხისმგებლობა დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას და მშობელს, იქიდან გამომდინარედაწესებულებაში მედიკამენტების გამოყენება დაშვებული არ არის;

დაწესებულებას საჯარო სივრცეში განთავსებული აქვს სახანძრო უსაფრთხოების ცეცხლმაქრები, დაწესებულებაში დამონტაჟებულია ხანძრის აღმოჩენის ავტომატური სიგნალიზაციის სისტემა;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

.....

.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს: უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში სამედიცინო პერსონალისა და ბავშვებთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადებას პირველადი გადაუდებელი დახმარების საკითხებში, ასევე უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებასა და უფლებამოსილ ორგანოსთან მის შეთანხმებაზე, რათა დოკუმენტი სრულად პასუხობდეს უსაფრთხოების მოთხოვნებს და დაწესებულების სპეციფიკას.

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ კონსულტაცია გაიაროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და სასურველია კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით განახორციელოს საგანგებო სიტუაციებში რეაგირებისთვის მოსამზადებელი სიმულაციური წვრთნები.

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აღრიცხული არ აქვთ მათ ტერიტორიაზე არსებული მცენარეების დასახელება და მათი რაოდენობა. შესაბამისად არ ჩანს, ბაღის ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არის თუ არა სახიფათო ბავშვების და პერსონალის ჯანმრთელობისთვის. ეზოს უკანა ტერიტორიაზე ღობეზე გადმოსულია ეკლიანი მცენარეები, რომლის სახიფათოა ბავშვებისთვის; დაწესებულებას აღნიშნული ხარვეზის შესახებ გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში და შესრულების ვადად განსაზღვრულია 10 თვე - მეტწილი შესაბამისობა, შესაბამისობის გეგმაში იდენტიფიცირებულია შეუსაბამობის აღწერა, განსაზღვრულია დაწყების და დასრულების დრო (18.02.2026- 18.12.2026), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა /აქტივობები , კონკრეტული ქმედება, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებისკენ, კერძოდ: დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეების აღრიცხვა, მათი უსაფრთხოების დადგენა ბავშვისა და პერსონალის ჯანმრთელობისთვის და შესაბამისი დოკუმენტის მომზადება. განსაზღვრული ყავს პასუხისმგებელი პირები (ბაღის დირექტორი) და საჭირო რესურსი (დაწესებულების ადამიანური რესურსი, ბაგა-ბაღის ადამიანური რესურსი).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

.....

.....

რეკომენდაცია

რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს ბაღის ტერიტორიაზე არსებული მცენარეების აღწერის განხორციელება კომპეტენტური სპეციალისტის მიერ, რაც მოიცავს მათი სახეობისა და ჯანმრთელობისთვის შესაძლო რისკების შეფასებას/აღწეას. ასევე, მიზანშეწონილია ეკლიანი ტოტების ბაღის ტერიტორიიდან მთლიანად მოცილება, რათა ბავშვებისა და პერსონალის ჯანმრთელობისათვის არ იყოს საფრთხის შემცველი.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს შემუშავებული არ აქვს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანისთვის უსაფრთხოების წესები, თუმცა კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისად დაწესებულებას აქვს შემუშავებული მშობლის წერილობითი ნებართვის ფორმა ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის თანხმობაზე და ასევე, ბავშვისთვის ფოტო/ვიდეოს გადაღება/გამოქვეყნების ნებართვაზე. აღნიშნული თანხმობის ფორმები ინახება ბავშვის პირად საქმეში. ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ ბავშვის ტერიტორიიდან გაყვანის თაობაზე მშობლის ინფორმირება ხდება წინასწარ, პირადი გასაუბრების ან სატელეფონო ზარის შედეგად. რაც შეეხება ბავშვის ტერიტორიიდან გაყვანის წესებს/პროცედურებს, დაწესებულებას ეს წესი **არ აქვს** გაწერილი დოკუმენტის სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული**

.....

.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს: შეიმუშაოს და დაამტკიცოს **ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის წესები/პროცედურები** დოკუმენტის სახით, სადაც დეტალურად განისაზღვრება პასუხისმგებელი პირები, თანმიმდევრული მოქმედებები და უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები, რათა უზრუნველყოს პროცესის სტანდარტიზაცია, გამჭვირვალობა და ბავშვთა უსაფრთხოების უფრო მაღალი ხარისხით დაცვა;

.....

.....

.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ ინდიკატორის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ექსპერტთა რეკომენდაციის საპასუხოდ წარმოადგინა ახალი მტკიცებულება. კერძოდ, აღსაზრდელის საბავშვო ბაღის ტერიტორიიდან გაყვანის წესები და პროცედურები, რომელიც ოფიციალურად დამტკიცებულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის № 48. 20261354 ბრძანებით. აღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტის შემუშავებითა და მიღებით დაწესებულებამ სრულად აღმოფხვრა მანამდე არსებული ხარვეზი. წარმოდგენილ დოკუმენტში დეტალურად არის განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები, თანმიმდევრული მოქმედებები და უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ბავშვთა უსაფრთხოების მაღალი ხარისხით დაცვას. აღნიშნული მტკიცებულება სრულად პასუხობს გაცემულ რეკომენდაციას;

შესაბამისად იცვლება ექსპერტთა შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

.....

.....

4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა, კერძოდ: აღსაზრდელებისთვის შექმნილია პროგნოზირებადი და უსაფრთხო გარემო, სადაც ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს. ვიზუალური დღის განრიგი, რომელიც დასურათებული

და საჯაროდ გამოკრულია, ხელს უწყობს ბავშვებისთვის დღის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების გაგებასა და მონაცვლეობის თვალსაზრისით პროცესის ორგანიზებულობას. დამატებით, სივრცეში განთავსებული ვიზუალური მინიშნებები ამარტივებს გარემოს აღქმას, ხოლო ცვლილებების შესახებ წინასწარი ინფორმირება ამცირებს სტრესს და ამსუბუქებს ტრანზიციის პროცესს. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს ბავშვების ყოველდღიური ცხოვრების სტაბილურობასა და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებული;**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის მიერ ბავშვის უფლებების ცოდნა და დაცვა რამოდენიმე აღმზრდელის მიერ გავლილი ტრენინგებით ბავშვის უფლებების, ბავშვთა დაცვისა და ადრეული განათლების სფეროში, დადასტურებულია სერტიფიკატებით („ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მეთოდოლოგია და რეფერირება“), რომელიც ინახება მათ პირად საქმეში. ინტერვიუს შედეგად, თვალსაჩინო გახდა, რომ აღმზრდელები ისეთ სასწავლო პროგრამებსა და აქტივობებს ახორციელებენ, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვებში საკუთარი უფლებების გაცნობიერებას და მათ პატივისცემას. გასაუბრების შედეგად ასევე დადგინდა, რომ საბავშვო ბაღის პერსონალი იცნობს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით სამოქმედო ინსტრუქციას, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის №ბ48. 20260407 ბრძანებით წესს“ და შესაბამის პროცედურებს;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებული;**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი: „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით სამოქმედო ინსტრუქცია“, სადაც გაწერილია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში განსახორციელებელი ქმედებებითვის. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის 2026 წლის №ბ48. 20260407 ბრძანებით; სტატუსის მაძიებელს იდენტიფიცირებული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დამტკიცებულია გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის №117 ბრძანება, და რეფერირებაზე პასუხიმგებლ პირად განსაზღვრული ჰყავს საბავშვო ბაღის გამგე და გაერთიანების იურისტი. დოკუმნეტში მკაფიოდაა განსაზღვრული ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი ნაბიჯები, კერძოდ: რეგულირების სფერო, დაწესებულების როლი ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემაში, ბავშვის მიმართ ძალადობაზე რეაგირების საფუძველი, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში რეაგირებაზე პასუხიმგებელი პირი და რეაგირების მექანიზმი, ნაპოვნი/მიტოვებული ბავშვის რეფერირება, ინფორმაციის კონფიდენციალურობა და რეფერირებასთან დაკავშირებული პროცედურული წესები და შესაბამისი დანართები. აღნიშნული წესი შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომელიც ეხება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცებას“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებას ადაპტაციის და ტრანზაციის დროს გადამწყვეტ როლს თამაშობენ ფსიქოლოგი, აღმზრდელები, მუსიკის მასწავლებელი. შენობაში, სადაც ამ ეტაპზე იმყოფებიან ბავშვები, დაწესებულების შიდა და გარე სივრცეებში არსებული ცენტრები დასურათებულია, ასევე ბავშვებს აქვთ განმარტოვების შესაძლებლობა, მხოლოდ შიდა სივრცეში, რაც ხელს უწყობს მის ადაპტაციას/შეგუებას სააღმზრდელო გარემოსთან. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ტრანზაციით იწყება საბავშვო ბაღში ბავშვის პირველი შეხება ბაღთან, რომელიც მოიცავს ახალ ურთიერთობებს, ასევე სკოლაში წასვლას. დაწესებულების სააღმზრდელო სპეციფიკა ითვალისწინებს შიდა ტრანზაქციების (აქტივობებს შორის გადასვლა, ძილისა და კვების რეჟიმი) მართვის პროცედურებს. ბაღის დოკუმენტაციით განსაზღვრულია ბავშვთა ადაპტაციის ხელშეწყობის ეფექტური მექანიზმები, რაც მოიცავს მშობლებთან წინასწარ საორიენტაციო შეხვედრებსა და ბავშვებისთვის გარემოს გაცნობის პროცესს. გარდა ამისა, სკოლამდელი ასაკიდან სასკოლო საფეხურზე ტრანზაქციის (გადასვლის) მხარდაჭერის მიზნით, შემუშავებულია სკოლასთან თანამშრომლობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო გარემოსა და პირველი მასწავლებლის გაცნობის მიზნით საორიენტაციო ვიზიტების განხორციელებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

